საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 190 (992) სამშაბათი, 25 ოქტომბერი, 1994 წელი.

ფასი 100.000 კუპონი

ქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

ლაქ ზუგდიდში და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში ედებს მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადლობები. მათ შორისაა გაეროს ლტოლვილთა საქმეთა უმაღლესი სირის სამსახური, გაეროს მეთვალყურეთა მისია საქართველოში, რთაშორისო წითელი ჯვარი, საერთაშორისო მოძრაობა შიმშილის ალმდეგ, კვების პროდუქტების საერთაშორისო პროგრამა, ორგააცია „ექიმები საზღვრებს გარეშე“ და სხვა. ეს ორგანიზაციები ართველოსთვის, მისი მომავლისთვის სასარგებლო საქმიანობას ეწენ. ამ მიზნით ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ, როგორც ხელისების ადგილობრივ ორგანოებთან, ასევე რესპუბლიკის სამინისტებსა და უწყებებთან, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბითან და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბთან. მაგრამ, ხშირია შეუთანხმებელი მოქმედებები, როგორც ამ განიზაციების წარმომადგენლებს შორის, ასევე მათსა და საქართვეს რესპუბლიკის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუების წარმომადგენლებს შორის. ამგვარი შეუთანხმებელი მოქმედებეშირად გაუგებრობის გამომწვევი მიზეზიც ხდება.

ერთაშორისო ინსტიტუტების რესპუბლიკის ორგანოებთან თანაომლობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით ქ. ზუგდიდში და რენის სხვა ქალაქებსა და რაიონებში მოქმედი საერთაშორისო ორზაციების წარმომადგენლობათა საქმიანობის ადგილზე კოორდინირედა მათი საქართველოს რესპუბლიკის და აფხაზეთის ავტონომიური პუბლიკის ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთთანამშრომლომოწესრიგება დაევალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ლმწიფო რწმუნებულს დასავლეთ საქართველოში — სახელმწიფო სტრს გივი ლომინაძეს.

ედუარდ შევარდნაძე.

ლისი, 1994 წლის 21 ოქტომბერი.

ვატიკანის სახსრებით თბილისში აშენდება პოლიკლინიკა

ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ რდნაძემ მიიღო ვატიკანის ნუნცი საქართველოში ჟან პოლ გობელი. ორც სტუმარმა აღნიშნა, ვატიკანი ყურადღებით ადევნებს თვალ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ნუნციმა დააყენა საკითხი ისში, თემქის დასახლებაში, ვატიკანისათვის მიწის ნაკვეთის გაფის შესახებ, სადაც ვატიკანის სახსრებით აშენდება პოლიკლინიკა. არი შეეხო საქართველოში „კარიკასის“ ორგანიზაციისა და ლიკური ეკლესიის სტატუსის ლეგალიზაციის საკითხებს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური — საქინფორმი.

ნიხილეს რესპუბლიკის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები

ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში რთა სამინისტროებისა და უწყებების, ქალაქებისა და რაიონების ძღვანელთა თათბირი, რომელსაც უძღვებოდა პრემიერ-მინისტრი ფაცაცია.

თბირზე განიხილეს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონებისათლექტროენერგიისა და გაზის მიწოდების და მათი ხარჯვის ღილების დაფარვის მდგომარეობის, საფინანსო რეფორმის მიმდიბის, მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების, ადგიივი ბიუჯეტის ფორმირებისა და რესპუბლიკაში ლაო ჩაისა და ურსების დამზადების ორგანიზაციის საკითხები. ინფორმაცია გაა შესაბამისი უწყებებისა და სამინისტროების ხელმძღვანელებმა. ებმაც წამოაყენეს წინადადებები კრიზისიდან გამოსვლის გზების ბ. გამოსვლებთან დაკავშირებით არაერთი შენიშვნა და მითითება ქვა ბატონმა ოთარ ფაცაციამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, ლევანდელ ეტაპზე აუცილებელია მუშაობის კატეგორიული გაესება.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ონომიკური და სოციალური განვითარების იკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ“ ართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

ართველოს პარლამენტი ადგენს:

ონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

ვახტანგ რჩეულიშვილი.

ლისი, 1994 წლის 11 ოქტომბერი.

(კანონი იხ. მე-2 გვ.).

შეიქმნა სააქციო-კომერციული ბანკი „საქართველოს ბანკი“

რთველოს სახელმწიფოს ის მიმდინარე წლის 26 აგბრძანებულებით სახელმკომერციული საბინაო-კოური მეურნეობისა და სოს განვითარების ბანკი — სოცბანკი“ გარდაიქმნა საკომერციულ ბანკ — „საილოს ბანკად“.

ოქტომბერს გაიმართა სააქკომერციულ ბანკ „საქართბანკის“ დამფუძნებელთა კრება. მასზე მოხსენება -კომერციულ ბანკად გას საინიციატივო ჯგუფის რეული მუშაობის შესახებ „საქბინსოცბანკის“ გამთავმჯდომარემ ვლადიმერ ვილმა.

დამტკიცდა სააქციო კოლ ბანკ „საქართველოს ბანკის“ წესდება, აირჩია ბანკის საბჭო და სარევიზიო კომისია. ბანკის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია კონცერნ „საქსამთომეტალურგიის“ ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ ჩხეიძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — სააქციო კომერციულ ბანკ „მირაკლის“ მმართველი ზურაბ ზედგენიძე.

კრებამ კომერციულ ბანკ „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტად აირჩია ვლადიმერ პატეიშვილი.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი თემურ ბასილია და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე თეიმურაზ კოპალეიშვილი.

საქინფორმი

ქართველოს პარლამენტი და საქართველოს რესპუბლიკის სტრთა კაბინეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაა გამოჩენილი ქართველი ხელოვანი და კულტურის მოღვაწე

თამარ იმხნელი

ს სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისაგან

მნა გამოჩენილი ქართველი ხელოვანისა და კულტურის ის თამარ იმხნელის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადბით: დ. მაღრაძე (თავმჯდომარე), ი. ანდრიაძე, ა. გოგელია, ბიაშვილი, მ. თაბუკაშვილი, გ. ლორთქიფანიძე, ს. ნასიძე, ძე, ა. ძიძიგური, ე. შენგელაია.

ძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

არ იმხნელის დამკრძალავი კომისიისაგან

ენილი ქართველი ხელოვნისა და კულტურის მოღვაწის იმხნელის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება ოთხშაბათს, ოქტომბერს 15 საათზე განსვენებულის ბინაზე: თევდორე ქუჩა № 16, გამოსვენება ხუთშაბათს, 27 ოქტომბერს 14 განსვენებულის ბინიდან.

დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გზად მომავლისკენ

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა:

ინტეგრაციის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი

21 ოქტომბერს ღამით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის დელეგაციას წინადღით მოსკოვში გამართულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრაზე, თბილისს დაბრუნდა. იმას, თუ რამდენად შემჭიდროებული იყო დროით, მაგრამ უაღრესად გადატვირთული იყო საქართველოს მეთაურის მუშაობის რეჟიმი, მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ მოსკოვის სამმიტის ორ შეხვედრაში მონაწილეობის გარდა, მას ჰქონდა პირადი შეხვედრები რუსეთის პრეზიდენტთან ბორის ელცინთან, შემდეგ რუსეთის პრემიერ-მინისტრთან ვიქტორ ჩერნომირდინთანაც. ორივე ამ შეხვედრაში, რომლებიც პირისპირ მიმდინარეობდა, თუმცა პრემიერთან საუბარს შეუერთდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევიც, ბუნებრივია, იხილებოდა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ხასიათის ფართო სპექტრის საკითხები, ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, შეეხო აფხაზეთში სამშვიდობო პროცესის დაჩქარებისა და ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემებს.

უაღრესად დაძაბული რეჟიმით მუშაობდნენ მოსკოვში საქართველოს დელეგაციის წევრებიც — პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე და რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს პრემიერიც და საგარეო-პოლიტიკური და თავდაცვითი უწყებების მეთაურებიც მოსკოვში დარჩნენ კიდევ რამდენიმე დღით თავიანთ რუს კოლეგებთან იმ კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც დაკავშირებულია ორ დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოს შორის თვისებრივად ახალი ურთიერთობის მოგვარებასთან და განვითარებასთან.

იმის დასადასტურებლად, რომ რუსეთთან, ისევე როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობა თვისებრივად ახალ ხასიათს იძენს, შეიძლება დავასახელოთ თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ახლანდელი შეხვედრა. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელი სამდივნოს პრესსამსახურის მიერ სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს სხდომის დაწყების წინ გავრცელებულ პრეს-რელიზში აღნიშნული იყო, რომ განსახილველად შეთავაზებული დოკუმენტების ამოქმედება ობიექტურად ხელს შეუწყობს ინტეგრაციული პროცესების განმტკიცებას თანამეგობრობაში და, უწინარესად, ეკონომიკის სფეროში. ქვეყნების ხელმძღვანელთა სამსჯავროზე გამოსატანი ათი პროექტიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელმა მდივანმა ივანე კოროტჩენიამ გამოჰყო შეთანხმება სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტის შექმნის შესახებ. სხვათა შორის, სწორედ ამ დოკუმენტს მიაპყრო განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა სამმიტის შედეგების შესახებ გამართულ პრესკონფერენციაზე. როგორც სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრის თავმჯდომარემ, მან გამოხატა რა საერთო აზრი, მაღალი შეფასება მისცა მის შედეგებს, აღნიშნა, რომ იმედები გამართლდა — ზოგიერთი აზრთა სხვაობის მიუხედავად, ფაქტობრივად მიღებულია განსახილველად გამოტანილი ყველა დოკუმენტი. ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს თანამეგობრობის სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტის შექმნას, ბორის ელცინმა პირდაპირ განაცხადა, რომ ამგვარი მუდმივმოქმედი ორგანოს გარეშე დღეს ძნელია გადაწყდეს თუნდაც ორმხრივი ურთიერთობის საკითხები.

ამ თვალსაზრისს ერთმნიშვნელოვნად იზიარებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებიც, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას, და სამართლიანად მიიჩნევენ სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტის შექმნას როგორც თანამეგობრობის ფარგლებში ეკონომიკური კავშირის რეალური ამოქმედების პირველ ნაბიჯს, რაც უკანასკნელ ხანს მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. საგულისხმოა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს საქართველოს დელეგაციამ პრინციპული პოზიცია დაიკავა და საბოლოოდ მხარდაჭერაც მიიღო. საქმე ის არის, რომ სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტის პროექტის ავტორებმა თავდაპირველად იგი წარმოადგინეს როგორც ზეეროვნული სტრუქტურა, რაზეც საქართველო და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო ვერ დაეთანხმებოდნენ. კამათის დროს გაირკვა: ზოგიერთი პოლიტიკოსის შიში, რომ სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტი გახდებოდა მბრძანებლობითი ორგანო, ყოფილი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მსგავსად, მოკლებულია საფუძველს, რადგან იგი მიიღებს მალისმიერ, ხელმძღვანელ უფლებამოსილებებს იმდენს, რამდენსაც თავად სახელმწიფოები მიანიჭებენ. შექმნილი კომიტეტის მთავარი ფუნქციები იქნება დამოუკიდებელი ქვეყნების ეკონომიკის მდგომარეობის, თანამეგობრობის სახელმწიფოებში რეფორმების მიმდინარეობის ანალიზი, წინადადებათა მომზადება შეთანხმებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განხორციელების, სამეურნეო კანონმდებლობის დაახლოებისა და ჰარმონიზაციისათვის. ნავარაუდევია, რომ სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტი ხელს შეუწყობს უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარების ერთობლივი პროგრამების შემუშავებას, ურთიერთმოქმედებას ერთიანი საგადამხდელო სისტემის ფორმირებასა და ეფექტიან ფუნქციონირებაში, ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო, სავალუტო, საგადასახადო, ფასებისა და საგადასახადო პოლიტიკის შეთანხმებას. მის ფუნქციათა სფეროში შედის ისიც, რომ ხანმოკლე და გრძელვადიანი პროგნოზების საფუძველზე მოამზადოს კონკრეტული რეკომენდაციები საწარმოო-ტექნიკური კავშირურთიერთობის სრულყოფის, ერთობლივი საინვესტიციო პროექტებისა და სხვა ნოვაციების შესახებ. გადაწყდა, რომ ამ კომიტეტის ხელმძღვანელ ორგანოში — პრეზიდიუმში შევლენ ყველა ქვეყნის წარმომადგენლები, მისი თავმჯდომარე კი აირჩევა ერთი წლის ვადით როტაციის წესით.

ახლანდელმა უმაღლესი დონის შეხვედრამ ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რამდენად რთული და პასუხსაგები ამოცანები და პრობლემები დგას დღეს თანამეგობრობის თითოეული ქვეყნის წინაშე და რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აამოქმედონ თანამშრომლობის ურთიერთხელსაყრელი და ეფექტიანი მექანიზმი. ასეთი მექანიზმის შემუშავების მთავარი პრინციპები განისაზღვრა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების ერთობლივად მიღებული მემორანდუმითა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამშრომლობის ინტეგრაციული განვითარების პერსპექტიული გეგმით. საქართველომ, ისევე როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებმა, მთლიანად მხარი დაუჭირეს ამ მემორანდუმსა და პერსპექტიულ გეგმას. მხედველობაში აქვთ რა, რომ ინტეგრაციის მთავარ მიმართულებად უახლოეს და საშუალო ხანგრძლივობის პერსპექტივაში აღიარებულია ეფექტიანი ეკონომიკური თანამშრომლობის მოგვარება, მისაღები და პრიორიტეტული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტამ უნდა შექმნას ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები, რათა ჩამოყალიბდეს საერთო ბაზარი საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და შრომითი რესურსების დაუბრკოლებელი მოძრაობითურთ. როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარ სახელმწიფო მრჩეველს ეკონომიკურ საკითხებში პეტრე ბაქრაძეს მიაჩნია, საქმე ეხება საერთო ეკონომიკური სივრცის ეტაპობრივ ფორმირებას საბაზრო ურთიერთობის ბაზაზე ეკონომიკური კავშირის შესახებ შეთანხმების შესაბამისად. ამისათვის კი უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა დაეთმოს თავისუფალი ვაჭრობის ზონის ფორმირებას, რომელიც მომავალში შეიძლება გადაიქცეს საბაზრო კავშირად, თუ, რა თქმა უნდა, იგი მისაღები და მისაღწევი გამოდგება თანამეგობრობის მონაწილე თითოეული ქვეყნისათვის. პარალელურ-

(დასასრული მე-2 გვ.)

„თანამეგობრობის განმტკიცებამ, ინტეგრაციული პროცესების განვითარებამ უდავოდ უნდა მიგვიყვანოს საერთო ჰარმონიამდე“

— **ტელევიზიით** თქვენ საკმაოდ ვრცლად ისაუბრეთ მოსკოვის შეხვედრის შედეგების, ეკონომიკური ინტეგრაციის, კოლექტიური უსაფრთხოების, ვალუტების ურთიერთკონვერტირებადობის, გამჭვირვალე საზღვრის შესახებ და ა. შ. გუშინდელ შეხვედრაზე თბილისელებთან თქვენ აღნიშნეთ, რომ ჩვენ ძალიან ძვირად დაგვიჯდა ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების პრიმიტიული წარმოდგენების პერიოდი, როცა ანგარიში არ გავუწიეთ რეალობას. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ან საბჭოთა კავშირის აღდგენის პროცესი მიმდინარეობს, ან იგი ზედმეტად ჩქარა და ალოგიკურად დაინგრა მოსალოდნელი შედეგების გაუთვალისწინებლად, ან ჩვენ უბრალოდ რეალობას ვითვალისწინებთ. თუმცა, შეიძლება იყოს სხვა ახსნაც — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა გაცილებით რბილი და ცივილიზებული სტრუქტურაა, ვიდრე თავის დროზე იყო საბჭოთა კავშირი, — ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ კითხვაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა:

— ხომ არ არის რაიმე კავშირი დღევანდელ თანამეგობრობასა და ყოფილ საბჭოთა კავშირს შორის, ხომ არ არის რაიმე ურთიერთობა იმპერიისდროინდელ სისტემებთან, ხომ არ იყო შეცდომა საბჭოთა კავშირის დანგრევა? მიმაჩნია, რომ ყველა ეს კითხვა სავსებით კანონზომიერია. ადამიანთა მეხსიერებიდან ასე იოლად არ წაიშლება წარსულის მძიმე მემკვიდრეობა თავისი ტრაგიკული შედეგებით. თუმცა, იმ წარსულიდანაც უნდა ავიღოთ ის, რაც ხელს უწყობს ხალხთა შორის თანაცხოვრების, ახალი წესების დამკვიდრებას და, ზოგიერთ შემთხვევაში, ბევრი რამ შეიძლება საფუძვლადაც კი გამოდგეს ცალკეული მიმართულებებით, ის, რაც, ბოლოს და ბოლოს, ხელს უწყობს ახალი სამყაროს მშენებლობას, ახალი სამყარო კი სხვა არაფერია, თუ არა ახალი ურთიერთობა ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის.

როგორც გუშინ ვთქვი, გულუბრყვილო წარმოდგენის დრო ყველა ქვეყნისათვის დამთავრდა. ილუზიების პერიოდი არა მარტო საქართველოს ჰქონდა, ამით ყველა იყო დაავადებული, მათ შორის, ყველაზე დიდი ქვეყანა რუსეთიც და სხვებიც: აი, განვთავისუფლდებით რაღაც ტვირთისგან და მერე კარგად ვიცხოვრებთო. არ გამოვიდა ასე. ეკონომიკური აღმავლობის, მეცნიერების ინტეგრაციის მიუღწევლად (მეცნიერებას განსაკუთრებულად ხაზგასმით გამოვყოფ, მხედველობაში მაქვს ახალი ტექნოლოგიები), გარესამყაროსთან კავშირის გარეშე, უწინარესად, ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცესთან, ძალიან ძნელია ილაპარაკო დამოუკიდებლობაზე, დემოკრატიული ქვეყნის აშენებაზე, რადგან ყველაფრის საფუძველი მაინც ახალი საბაზრო ეკონომიკა უნდა გახდეს, ხოლო საბაზრო ეკონომიკა ინტეგრაციის გარეშე არ შეიქმნება. ასეთია მოწინავე ქვეყნების მაგალითი. ასეთია ევროპის, აზიისა და სხვა კონტინენტების იმ ქვეყნების მაგალითი, რომლებიც 30-40 წლის წინათ გაცილებით მძიმე და რთულ ვითარებაში იყვნენ, ვიდრე დღეს საქართველო. ამჟამად ისინი აყვავებული ქვეყნები არიან.

არაერთხელ მითქვამს, რომ აგვისტოს „პუტჩმა“ რუსეთში განაპირობა იმპერიის უმართავი დემონტაჟი. მაშინ ყველა ეიფორიამ მოიცვა, როცა „სუვერენიტეტების პარადი“ მოეწყო, ძალიან ცოტას ფიქრობდნენ მომავალ სირთულეებზე, რომლებსაც ამ გზაზე ყველა ხალხი წააწყდებოდა. რა თქმა უნდა, დემონტაჟი გარდუვალი იყო. მაშინაც და ახლაც მტკიცედ მჯერა, რომ იგი უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად. ამ შემთხვევაში კატაკლიზმებს, რომლებსაც შევეჯახეთ და, რომლებსაც, სამწუხაროდ, მძიმე შედეგები მოჰყვა თითოეული ოჯახისათვის, ავცდებოდით. განსაკუთრებით კი ეკონომიკურს. მართალია, ეკონომიკური კავშირის შენარჩუნება იმ სახით, ალბათ, ძნელი იყო, მაგრამ იმ საფუძველზე ახალი კავშირურთიერთობის აშენება — სავსებით შესაძლებელი. ყოველ შემთხვევაში იგი ასე სტიქიურად არ უნდა დაშლილიყო.

ყველა ხელმძღვანელი იმპერიის ნგრევის აუცილებლობას ვერ ხედავდა და ვერ გრძნობდა. მახსოვს, ჯერ კიდევ 1985-87 წლებში მიმდინარეობდა დისკუსია კონფედერაციულ ურთიერთობაზე გადასვლის თაობაზე, იყო სურვილი რესპუბლიკებიდან, განსაკუთრებით ბალტიის ქვეყნების რესპუბლიკებიდან. იმ პერიოდში, იმ ეტაპისათვის კონფედერაცია საოცნებო მდგომარეობა იყო. მაშინდელ პოლიტბიუროსა და ხელმძღვანელ ბირთვში, ბევრი რესპუბლიკის ხელმძღვანელის შეგნებაშიც ლაპარაკი ახალ ურთიერთობაზე, საბჭოთა კავშირის მოდერნიზაციაზე წარმოუდგენელი და შეუძლებელი იყო. მერე, როცა კონფედერაციის იდეა დაძველდა, დაიწყო ლაპარაკი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაზე, მაგრამ არა იმ ფორმითა და გაგებით, როგორც შემდეგში მივიღეთ. ეს იდეაც მიუღებელი აღმოჩნდა. თუმცა იგიც უკვე დაგვიანებული იყო. იმ ეპოქის, იმ დროის ყველაზე მძიმე შეცდომად მიმაჩნია ის, რომ ჩვენ ჩამოვრჩით იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ცხოვრება გვიყენებდა, ამიტომაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები ვერ ასცდნენ მძაფრ მოძრაობებს. საჭირო გახდა ბევრი რამის კორექტირება.

მოსკოვის შეხვედრებთან დაკავშირებით შევჩერდები რამდენიმე საკითხზე. რადგან მიმაჩნია, რომ ყველა მოქალაქეს უნდა აინტერესებდეს, რა ხდება დღეს თანამეგობრობაში.

თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ახლანდელ შეხვედრაზე უმაღლეს, სახელმწიფოს ხელმძღვანელთა დონეზე მიღებულია ორი-სამი ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ამის შესახებ რამდენიმე სიტყვას კვლავ გავიმეორებ.

პირველი — მემორანდუმი თანამეგობრობის წევრ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ინტეგრაციული განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ. მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილია ეკონომიკური ინტეგრაციის პრინციპები და აქედან გამომდინარე პრაქტიკული გადაწყვეტილებები. ამასთან მემორანდუმში ასახვა ჰპოვა ისეთმა საკითხმა, როგორიცაა კოლექტიური უსაფრთხოების დებულების შემდგომი სრულყოფა და განვითარება, რაც ითვალისწინებს: მოთხოვნას თანამეგობრობის სივრცეში შეიარაღებული კონფლიქტების დაუშვებლობის. შესახებ შემდგომი მექანიზმების დამუშავებით; ამ ქვეყნების სამხედრო ძალების შეიარაღების პრობლემებს; კოლექტიური სამშვიდობო ძალების მოქმედების ამოცანებს ამა თუ იმ რაიონში კონფლიქტების კვლავაც გაჩაღების შემთხვევაში; ექსტრემალურ პირობებში კოლექტიური მოქმედების აუცილებლობას საერთაშორისო სამართლისა და გაეროს წინადადებების ფარგლებში; თანამეგობრობის ქვეყნების გარე საზღვრების ერთობლივი დაცვის ზოგიერთი პრინციპის განსაზღვრას. რაც შეეხება თანამეგობრობის სახელმწიფოთა შორის ღია საზღვრების საკითხს, მემორანდუმში ნათქვამია, რომ ასეთმა პრაქტიკამ არავითარ შემთხვევაში ზიანი არ უნდა მოუტანოს თანამეგობრობის ქვეყნების სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს. ეს მნიშვნელოვანი დებულებაა და იგი ახალი საზღვრების აშენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს. ლაპარაკია ადამიანის უფლებათა დაცვის, ჰუმანური თანამშრომლობის მრავალ ასპექტზე, თანამშრომლობაზე საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში. მიღებულია დოკუმენტი ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ. სასიამოვნოა, რომ ყველა ეს დოკუმენტი ასე თუ ისე პასუხობს მსოფლიო და ევროპულ სტანდარტებს.

და რაც მთავარია, ეს შეხვედრა გამოირჩეოდა ძალიან დიდი ურთიერთგაგებით, კარგი განწყობით, მიმდინარეობდა ურთიერთპატივისცემისა და ანგარიშგაწევის ვითარებაში. რა თქმა უნდა, არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ ამით დაიწყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სიცოცხლისუნარიან გაერთიანებად ჩამოყალიბების აქტიური პროცესი, ამ ქვეყნების შეთანხმებული მოქმედება სახელმწიფოთაშორისი, საპარლამენტთაშორისი ურთიერთობის დონეზე. ამ შეხვედრასთანაა დაკავშირებული ურთიერთმოქმედების რეალური მექანიზმების შექმნა, რომელსაც შეიძლება მიიღოს სავალდებულო, გარკვეულ კომპეტენციათა ფარგლებში, გადაწყვეტილებები.

იყო გარკვეული დავა, საკმაოდ ცხარეც, იმის შესახებ, თუ რა სახის იქნება ახლადშექმნილი ორგანოები, სტრუქტურები — ზეეროვნული, ზესახელმწიფოებრივი თუ სახელმწიფოთაშორისი. საქართველოს დელეგაციას ეკავა პრინციპული პოზიცია, მათ შორის, უმაღლეს დონეზეც, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატარებდნენ ზეეროვნულ, ზესახელმწიფოებრივ ხასიათს. ბოლოს და ბოლოს მივიღეთ [illegible], რომ სტრუქტურები იქნება სახელმწიფოთაშორისი [illegible] ხასიათისა. ამ შეკრების ერთ-ერთი ძირითადი [illegible] ორედ ეკონომიკური სტრუქტურების შექმნა [illegible] მაგრამ პრინციპში მაინც მივიღეთ [illegible] და, ჩემი აზრით, გამართლებული [illegible] ეხება, უპირველესად, ისეთი [illegible] საერთაშორისო ეკონომიკური კომიტეტი. ეს ორგანო იქნება მაკოორდინირებელი და შემსრულებელი. აქ ყველა სიტყვას მნიშვნელობა აქვს. შემსრულებელი იმ ფუნქციებისა, რომლებსაც სახელმწიფოები ნებაყოფლობით გადასცემენ მას. ე. ი. მოახდენენ ფუნქციების დელეგირებას. და, კიდევ ერთი პრინციპი — უფლებების ნებაყოფლობითი დელეგირება. ე. ი. ახდენენ ნებაყოფლობით დელეგირებას უფლებებისა იმ სფეროში, სადაც დაინტერესებული ხარ იყოს საერთო კოორდინაცია და მართვა. თუ არა ხარ დაინტერესებული — არ გადასცემ და არ იქნება სავალდებულო. და მეორე, დამზღვევი მექანიზმი: ამაზეც სერიოზული დავა იყო. მაგრამ, საბოლოოდ გაიმარჯვა საღმა აზრმა. პრინციპულ საკითხებზე ეს კომიტეტი იმუშავებს კონსენსუსის წესით. ესე იგი თუნდაც ერთი დელეგატიც რომ იყოს წინააღმდეგი, გადაწყვეტილება არ გავა, ანდა სხვა მექანიზმი მოიძებნება. იგივე კომიტეტი მოახდენს ეკონომიკური ვითარების ანალიზს (ეს ჩვენ ძალიან გვაკლია), რეფორმების მსვლელობის მიმოხილვას, სათანადო პროგნოზების საფუძველზე მოამზადებს რეკომენდაციებს საწარმოო ტექნოლოგიური კავშირურთიერთობის სრულყოფის შესახებ (რამდენიმე წელია ჩვენ ჩამოვრჩით ამ დიდ პროცესს), ჩამოაყალიბებს მოსაზრებებს ერთობლივი საინვესტიციო პროექტების შესახებ, ახალი საერთო ეკონომიკური სივრცის ეტაპობრივი ფორმირების ამოცანებს და სხვ. ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირებაში განსაკუთრებულ როლს შეასრულებს თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა. როგორც იცით, ჩვენ რუსეთთან უკვე შევთანხმდით ასეთი ზონის შექმნის აუცილებლობის შესახებ. შემდეგში, ალბათ, ეს მიმართულება საბაჟო კავშირამდე მიგვიყვანს, მაგრამ ეს უფრო მოგვიანებით იქნება.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება არის ეკონომიკური კავშირისათვის მუდმივმოქმედი ორგანოს ჩამოყალიბება. ისეთისა, როგორიც არის შეთანხმება საგადასახადო კავშირის შექმნის შესახებ; ერთი — ეკონომიკური კომიტეტი და მეორე — საგადასახადო კავშირი. ესეც არსებითი საკითხია. მთელი ორი-სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ამ პრობლემის შესწავლა და, ბოლოს და ბოლოს, მივედით ასეთი კავშირის შექმნის აუცილებლობამდე.

ეკონომიკური სივრცის ფორმირების ერთ-ერთი უცილობელი პირობაა ეროვნულ ვალუტათა ურთიერთკონვერტირებადობის საკითხი. ცნობილია, რამდენ უსიამოვნებასთან იყო დაკავშირებული, როცა ასეთი წესები არ იყო შემუშავებული. აქაც კიდევ ერთ ჩვენთვის მნიშვნელოვან მომენტს აღვნიშნავ ხაზგასმით — ხელშეკრულება აღიარებს ეროვნულ სავალუტო სუვერენიტეტს და მხარეთა ცენტრალური ბანკების როლს, როგორც ემისიური ცენტრებისა და ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოებისა.

საგადასახადო კავშირის შექმნა შესაძლებელია მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულების დადების გზით. ეს პროცესი, როგორც გითხარით, მიმდინარეობს. შეიქმნება სახელმწიფოთაშორისი ბანკი სახელმწიფოთაშორისი ანგარიშსწორების და სხვა პრობლემათა მოსაგვარებლად. ესეც გარდუვალი ინსტიტუტია. საგადასახადო კავშირი უნდა გახდეს ეროვნულ ვალუტათა სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი. ჩვენი ეკონომიკური ინტეგრაციის ახალი დონე თავისთავად მოითხოვს ყველა ეროვნული ვალუტის სტაბილურობას.

ასეთია ეკონომიკურ საკითხებზე ძირითად შეთანხმებათა სპექტრი. დოკუმენტები საკმაოდ ვრცელია. ჩვენ შევეცდებით მოსახლეობას მივაწოდოთ ინფორმაცია. ჩვენს ეკონომისტებს, სპეციალისტებს, ფინანსისტებს ვთხოვთ უფრო ღრმად განაზოგადონ ეს საკითხები.

საკმარისია თუ არა ინტეგრაციის დღევანდელი დონე? როგორც ცნობილია, იყო ყაზახეთის პრეზიდენტის ნაზარბაევის საკმაოდ გახმაურებული ინიციატივა ევრაზიის კავშირის შექმნის შესახებ. რა თქმა უნდა, იქ ინტეგრაციის დონე გაცილებით უფრო მაღალია, უფრო ღრმა და მასშტაბურია. ეს ინიციატივა შემდეგნაირად შევაფასე: ევრაზიის საერთო სივრცეების იდეა, ვთქვათ, ევრაზიის ერთიანი ეკონომიკური სივრცისა, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული სივრცეებისა და სხვ. იდეა საკმაოდ დიდი ხანია ტრიალებს ჰაერში და მათ უდავოდ აქვთ მომავალი. მაგრამ ეს მომავლის პროგრამაა, ვთქვათ, 21-ე საუკუნის დასაწყისის პროგრამა. მე ისიც ვთქვი, რომ ნაზარბაევის იდეა, ალბათ, იმასაც გულისხმობს, რომ მომავალში, თანამეგობრობის განმტკიცების შემთხვევაში, ევრაზიის კავშირის წევრი შეიძლება სხვა ქვეყნებიც გახდნენ. ვთქვათ, ისეთი ქვეყანა, როგორიცაა მონღოლეთი, ანდა, თუ კორეა გაერთიანდება — ვთქვათ, გაერთიანებული კორეა, აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც ამა-

ედუარდ შევარდნაძის 24 ოქტომბრის რადიოინტერვიუ

(დასასრული მე-2 გვ.)

მერვე სვეტი

სეპარატისტები აკრიტიკებენ ზურაბ ლაბახუას

ზუგდიდის ტელეკომპანია „ოდიშის“ მონაცემებით, გასულ კვირას სოხუმის ტელევიზიამ და რადიომ მკაცრად გააკრიტიკეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ცნობილი აფხაზი პოლიტიკური მოღვაწე ზურაბ ლაბახუა იმ სტატიის გამო, რომელიც მან მოსკოვში გამოაქვეყნა „ნეზავისიმაია გაზეტაში“. სეპარატისტებს არ მოსწონთ ის, რომ ზურაბ ლაბახუამ წამოაყენა წინადადება სამშვიდობო ძალები განლაგდნენ არა მარტო მდინარე ენგურის ზონაში, არამედ მდინარე ფსოუზე და კოდორის ხეობაში. ასევე ზ. ლაბახუამ მოითხოვა დააწესონ კომენდანტის საათი.

როცა მკვეთრად აკრიტიკებენ ზურაბ ლაბახუას მტკიცებებს, სოხუმის ტელევიზია და რადიო აღნიშნავენ, რომ ამგვარი წინადადებები უკვე გაისმოდა თბილისიდან და ისინი გამოუსადეგარია სეპარატისტთა მთავრობისათვის.

თენგიზ პაჭკორია,
საქინფორმის კორ.

ნავთობსახდელების განადგურება გრძელდება

ნავთობსახდელების გამოვლენისა და მათი განადგურების თაობაზე სახელმწიფოს მეთაურის ბრძანების საფუძველზე, რესპუბლიკაში აქტიურად მიმდინარეობს უკანონო ნავთობსახდელების განადგურება.

გარდაბნის რაიონის სოფელ გაჩიანის ტერიტორიაზე გაანადგურეს სამი კუსტარული ნავთობსახდელი, სოფელ სართიჭალაში აღმოაჩინეს 6 კუსტარული ნავთობსახდელი, რომელთაგან ერთი ადგილზე გაანადგურეს, განადგურებულია აგრეთვე ორი ნავთობსახდელი სოფელ გამარჯვებაში.

ყველა ჩამოთვლილი ნავთობსახდელის ქვაბები ჩაბარდა „საქნავთობის“ ლილოს ბაზას.

ასეთი ღონისძიებები კვლავაც გაგრძელდება.

„იბერიის“ დეპეშები

აფხაზეთის სვანეთი. კოდორის ხეობაში კვლავ სტაბილური ვითარებაა, მდგომარეობას ძაბავს მხოლოდ ის გარემოება, რომ მთავრდება ლათა-საკენის გზის აღდგენა, რაც აფხაზურმა ფორმირებებმა შეიძლება გამოიყენონ კოდორის ხეობის სიღრმეში შეჭრისა და მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმისათვის.

თბილისი. აფხაზეთის ხელისუფლებაში თავი იჩინა ერთგვარმა განხეთქილებამ იმის გამო, რომ აფხაზეთის წარმომადგენლებმა ვერ მიიღეს მონაწილეობა ქ. ვლადიკავკაზში, 21 ოქტომბერს გამართულ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ლიდერთა შეხვედრებში, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს დელეგაცია.

თბილისი. დასასრულს უახლოვდება მუშაობა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტზე. თითქმის შეჭრებულია ალტერნატიული ვარიანტები, მაგრამ პროექტის საჯარო განხილვა და პარლამენტში განსახილველად გამოტანა არ ხერხდება იმის გამო, რომ გაურკვეველია აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, აჭარის პოლიტიკური სტატუსის საკითხი.

თბილისი. ა. წ. ნოემბერში, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ჩერნომირდინის საქართველოში ვიზიტის დროს, შესაძლოა შემუშავდეს ლტოლვილთა დაბრუნების გრაფიკი. ექსპერტთა აზრით, ეს პროცესი შეიძლება ერთი ან ორი წლის განმავლობაში დასრულდეს, მას შემდეგ, რაც განისაზღვრება აფხაზეთის სტატუსი.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების, აგრეთვე ცალკეული სფეროებისა და დარგების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმების დამუშავების მიზნებს, საერთო წესს, შემადგენლობასა და შინაარსს.

მუხლი 1. ინდიკატური დაგეგმვის ცნება და ამოცანები

ინდიკატური დაგეგმვა არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების მახასიათებელ მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) და მათი განხორციელების ღონისძიებათა სისტემის ფორმირება.

ინდიკატური გეგმა სარეკომენდაციო ხასიათისაა, განსაზღვრავს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგიას, ამოცანებს და მიმართულებებს, მათი რეალიზაციის გზებსა და მეთოდებს.

ინდიკატური გეგმა მუშავდება ეკონომიკის სფეროების, დარგების და რეგიონების ჭრილში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მიერ დამოუკიდებლად შემუშავებული ინდიკატური გეგმების მაჩვენებლების და სამინისტროებისა და ორგანიზაციების წინადადებების გათვალისწინებით.

ინდიკატური გეგმა შეიძლება დამუშავდეს მოკლე (ერთწლიანი), საშუალო (2-5-წლიანი) და გრძელვადიანი (5-10-წლიანი) პერიოდისათვის.

მუხლი 2. ინდიკატური გეგმის შემადგენლობა

ინდიკატური გეგმა შედგება ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის, პროგნოზის და საგეგმო-მარეგულირებელი ნაწილებისაგან.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციაში ყალიბდება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის მიზნები და პრიორიტეტები, განისაზღვრება მათი მიღწევის ღონისძიებები და პირველ რიგში გადასაწყვეტი ამოცანები.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზებში განისაზღვრება წარმოებისა და სოციალური სფეროს განვითარების ტენდენციები, პერსპექტივები და ვარიანტები სასურსათო პოტენციალისა და საგარეო-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

ეკონომიკური რეგულატორების სისტემა შედგება ნატურალური, ღირებულებითი და ნორმატიული მაჩვენებლების კომპლექსისაგან, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ზემოქმედებს ეკონომიკაზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციასა და პროგნოზებში დასახული მიზნების მისაღწევად.

ინდიკატური გეგმის საგეგმო-მარეგულირებელი ნაწილი მოიცავს სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს, რომელთა დამუშავების წესს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

ინდიკატური გეგმის შედგენას აკონტროლებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ეკონომიკის სამინისტროს მეშვეობით.

მუხლი 3. ინდიკატური გეგმის დამოკიდებულება საფინანსო სისტემასთან

ინდიკატური გეგმის კონცეპტუალური, საპროგნოზო და საპროგრამო ნაწილები მჭიდრო ურთიერთკავშირში უნდა იყოს შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავლებთან და ხარჯებთან მეურნეობის ყველა დონეზე. ბიუჯეტის შემოსავლის ფორმირება ხდება ინდიკატური გეგმის ეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, ხოლო ხარჯებისა — საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე მიზნობრივი სახელმწიფო (სახელმწიფოთაშორისო) პროგრამებისა და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მუხლი 4. ინდიკატური გეგმის შემუშავების ორგანიზაცია

ინდიკატური გეგმის შემუშავების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ხოლო ინდიკატური გეგმების შემუშავებას საერთო ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს ეკონომიკის სამინისტრო.

მუხლი 5. ინდიკატური გეგმის შემუშავების ვადები

ინდიკატური გეგმების შემუშავების ვადებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი. გეგმის ფორმირება უნდა დამთავრდეს საგეგმო წლის დაწყებამდე 1 თვით ადრე მაინც, ხოლო წინასწარი გაანგარიშებები სახელმწიფო ბიუჯეტის შესადგენად — არა უგვიანეს 1 სექტემბრისა.

მუხლი 6. ინდიკატური გეგმის განხილვა-დამტკიცება

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატურ გეგმას განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი

მუხლი 7. რესპუბლიკის ინდიკატური გეგმის შემდგენელთა ინფორმაციით უზრუნველყოფა

აფხაზეთისა და აჭარის მინისტრთა საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, საწარმოები და ორგანიზაციები, მიუხედავად საკუთრების ფორმისა, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის შესადგენად აუცილებელ მასალებს წარუდგენენ ეკონომიკის სამინისტროს მისგანვე განსაზღვრული ფორმების, მაჩვენებლებისა და წესის შესაბამისად. ანალოგიური ინფორმაციები ინდიკატური გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარდგენილი უნდა იყოს ყოველი კვარტალის დამთავრების შემდეგ.

ეკონომიკის სამინისტრო, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი და სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი ეკონომიკური ორგანოები ვალდებულნი არიან დაინტერესებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გააცნონ მათი განვითარებისათვის საჭირო ინფორმაცია და გაუწიონ მეთოდური დახმარება.

მუხლი 8. პასუხისმგებლობა მონაცემთა მიუწოდებლობისა და დამახინჯებისათვის

პასუხისმგებლობა ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული მასალების მიუწოდებლობის ან დამახინჯებისათვის განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი. 1994 წლის 11 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

1994 წლის ციტრუსების მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და რეალიზაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ წინასწარი გაანგარიშებით წლეულს რესპუბლიკაში მოსალოდნელია 130 ათას ტონაზე მეტი ციტრუსების ნაყოფის წარმოება, საიდანაც ძირითადი ნაწილი (90 პროცენტამდე) კერძო მეურნეობებზე მოდის.

ამასთან, დამაფიქრებელია ის სერიოზული სიძნელენი, რომლებიც იქმნება პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის საქმეში. კერძოდ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის იმ ქვეყნების შესაბამისი უწყებები, რომლებთანაც გაფორმებულია სამთავრობათაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებები, ინტერესს არ იჩენენ თავიანთი ტარითა და ტრანსპორტით პროდუქციის გატანისადმი, უფრო მეტიც, დღემდე არ მიუწოდებიათ პროდუქციის მიმღები ორგანიზაციების იურიდიული რეკვიზიტები. რესპუბლიკაში უკიდურესად შეზღუდულია პროდუქციის შემსყიდველი ორგანიზაციების ტარა-მასალებით, იზოთერმული ვაგონებით და განსაკუთრებით ფულადი რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ციტრუსების უდანაკარგოდ აღების ერთადერთ პირობად რჩება აღნიშნულ პროდუქციაზე თავისუფალი ვაჭრობის დაშვება, რაც შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 28 თებერვლის № 124 დადგენილების დანართი 1994 წლისათვის ციტრუსოვანთა ნაყოფის კვოტების დადგენის ნაწილში. ამასთან, მისი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანა მოხდეს ლიცენზირების გარეშე.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ხობის, სენაკისა და ჩოხატაურის რაიონების გამგეობებმა, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ დასახონ და განახორციელონ საზოგადოებრივ მეურნეობებსა და მოსახლეობაში ციტრუსების კრეფისა და რეალიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებანი. მაქსიმალურად აამოქმედონ ტარამასალების წარმოების ადგილობრივი რეზერვები, სატრანსპორტო საშუალებების მოზიდვის შესაძლებლობები; თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პრინციპებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით საკონტრაქტო საფუძველზე ციტრუსების დამზადებისა და რეალიზაციის საქმეში აქტიურად ჩააბან სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურები.

3. რჩევა მიეცეთ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ხობის, სენაკისა და ჩოხატაურის რაიონების გამგეობებს ციტრუსოვანთა რეალიზაცია პირველ რიგში აწარმოონ ტარამასალების, შხამქიმიკატების, მინერალური სასუქების, საწვავისა და სურსათის შეძენის მიზნით.

4. მიეცეთ ციტრუსების დამზადებისა და რეალიზაციის უფლება საქართველოს რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების იურიდიულ და კერძო პირებს პროდუქციის მწარმოებლებთან პირდაპირი საკონტრაქტო ურთიერთობების საფუძველზე, თავისუფალ ფასებში.

5. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს დეპარტამენტმა მიიღოს ქმედითი ზომები იურიდიული და კერძო პირების კუთვნილი ციტრუსების, როგორც მალფუჭადი პროდუქციის, საბაჟოებში დაუბრკოლებლად გატარებისათვის.

6. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ დაამყარონ კონტაქტები ციტრუსებით დაინტერესებულ უცხოეთის სახელმწიფო და კომერციულ სტრუქტურებთან, დააკავშირონ ისინი ციტრუსების მწარმოებლებთან და აღმოუჩინონ დახმარება საკონტრაქტო ურთიერთობების დასამყარებლად.

7. საქართველოს რესპუბლიკის სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტმა, საქართველოს რესპუბლიკის საზღვაო სანაოსნომ, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კორპორაცია საქაგროტექსერვისმა, საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტმა, საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტმა ციტრუსების მწარმოებელ და დამამზადებელ სახელმწიფო საწარმოებთან, კერძო სტრუქტურებთან, ფიზიკურ პირებთან პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე მოიზიდონ და მაქსიმალურად მოამზადონ სპეციალური სატრანსპორტო საშუალებები პროდუქციის გადაზიდვისათვის როგორც მეზობელ ქვეყნებში, ასევე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

8. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტრომ ციტრუსების მწარმოებლებს აღმოუჩინოს დახმარება ტარამასალების შეძენის საქმეში მათთან გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე.

9. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონცერნმა „საქნავთობპროდუქტმა" ციტრუსების კრეფის, დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის პერიოდისათვის შექმნას დიზელის საწვავისა და მაზუთის საჭირო მარაგი და შეთანხმებულ ფასებში პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე მიყიდოს ციტრუსების მწარმოებლებს.

10. საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტმა „საქენერგომ" ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად გამონახოს შესაძლებლობები და ციტრუსების მწარმოებელი რაიონების გადამამუშავებელი საწარმოები ელექტროენერგიით უზრუნველყოს.

11. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღოს დამატებითი ზომები რკინიგზის მაგისტრალებსა და საავტომობილო გზებზე პროდუქციის დაცვისა და მალფუჭადი ციტრუსებით დატვირთული სატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებელი, უსაფრთხო გატარების, განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე ციტრუსით დატვირთული სატრანსპორტო საშუალებების შემოწმების აღკვეთისათვის.

12. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს რადიო-ტელევიზიით.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. პაცაცია.

თბილისი. 1994 წლის 12 ოქტომბერი.

საქართველოს პარლამენტის 25-26-27-28 ოქტომბრის პლენარული სხდომების

დღის წესრიგი

1. საქართველოს ტერიტორიაზე დღის სინათლის მაქსიმალურად გამოყენების საკითხის დასაბუთების ასპექტების შესახებ (მომხს. **ზ. მურვანიძე**)
2. საქართველოს პარლამენტის 1994 წლის საშემოდგომო სესიის (ოქტომბერ-დეკემბერი) კალენდარული გეგმის დამტკიცების შესახებ (მომხს. **ა. ქამაკაშვილი**)
3. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ცნობის შესახებ (მომხს. **რ. მიმინოშვილი**)
4. კანონპროექტი „მეწარმეთა შესახებ" (II მოსმენით) (მომხს. **თ. ნინიძე**)
5. კანონპროექტი კომუნალური მეურნეობის შესახებ (I მოსმენით (მომხს. **მ. ველდწითელი**)
6. კორუფციისა და ორგანიზებული დამნაშავეობის კვლევის დროებითი საპარლამენტო კომისიის დებულების შესახებ (მომხს. **ო. ხუციშვილი**)
7. კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ (მომხს. მინისტრთა კაბინეტი, ეროვნული ბანკი, თანამომხსენებელი **თ. კოპალეიშვილი**)
8. კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის შესახებ (მომხს. **რ. ადამია**)
9. დადგენილება ხულოს რაიონის საციხურის თემის საკრებულოს შექმნის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდიუმის 1994 წლის 10 ივნისის დადგენილების დამტკიცების თაობაზე (მომხს. **ო. ხუციშვილი**)
10 კანონპროექტი კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის შესახებ (მომხს. **გ. ლობჟანიძე**)
11. საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის მეოთხე კვარტალის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ (მომხს. **დ. იაკობიძე, ნ. ჯავახიშვილი, თ. კოპალეიშვილი**)
12. კანონპროექტი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესახებ (II მოსმენით) (მომხს. **რ. კუპრავა**).
13. საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის შესახებ (მომხს. **მ. წიკლაური**)
14. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების საქმიანობის კანონიერების შესწავლის შესახებ (მომხს. **ნ. კირთაძე**)
15. კანონპროექტი საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ (მომხს. **ზ. ანდრიაძე**)
16. საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ (მომხს. **ვ. რჩეულიშვილი**)
17. საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ (მომხს. **თ. კოპალეიშვილი**).

პარლამენტის პრესცენტრი.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა:

ინტეგრაციის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯ

(დასასრული)

ად დასახულია შეიქმნას საგადამხდელო კავშირი, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბაზრო ურთიერთობის საფუძველზე განახლებული ეკონომიკური კავშირის აღდგენისათვის. განსაკუთრებით საქართველოსათვის, რათა ჩვენში არსებული ჰიპერინფლაციის პირობებში მოხერხდეს ურთიერთანგარიშსწორებაში მოდუნების შედეგად მოშლილი ეკონომიკა.

ეკონომიკურ პრობლემათა ეტაპობრივი გადაჭრის სტრატეგიისა და ტაქტიკის გარდა, მემორანდუმი შეიცავს კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად უშიშროების სისტემის შექმნის პრინციპებს. რაც შესაძლებლობას მოგვცემს ვიქონიოთ საერთო სამხედრო-სტრატეგიული სივრცე, შევქმნათ სამხედრო ტექნიკის წარმოებასა და თავდაცვითი საწარმოთა კონვერსიის მოწყობაში თანამშრომლობის ხელშემწყობი პირობები. ეს დოკუმენტი ითვალისწინებს თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ინტეგრაციის განვითარებას საზღვრების დაცვაში, კოლექტიური მშვიდობისმყოფლობის იდეის რეალიზაციაში. სხვათა შორის, სახელმწიფოთა მეთაურების სხდომაზე დადებითად აღიქვეს იდეა კონფლიქტის ზონაში, კერძოდ, აფხაზეთში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნის შესახებ. საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის [illegible]ვრას, რომლითაც საბოლოოდ [illegible]ღვრა მათი ფუნქციები ამ რეგიონში. [illegible] კერძოდ, მანდატში პირდაპირ ჩაწერილია, რომ სამშვიდობო ძალებმა ხელი უნდა შეუწყონ ლტოლვილთა სწრაფ, უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრმა სახელმწიფოებმა აგრეთვე განაცხადეს, რომ მზად არიან თავიანთი მეთვალყურენი გაგზავნონ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მოსკოვში მიღებული შეთანხმებაც საგადამხდელო კავშირის შექმნის შესახებ. ამ დოკუმენტის ხელმოწერით, რომლის პარაფირება მთავრობათა მეთაურებმა მოახდინეს ჯერ კიდევ ამა წლის 9 სექტემბერს, იურიდიულად არის აღიარებული ეროვნული ვალუტების არსებობა და სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას მოაწყონ სავალუტო ბაზრები და უარი თქვან ვალუტების ახლანდელ არსებითად დირექტიულ კოტირებაზე. საიდუმლო ხომ არ არის, რომ ეკონომიკური კრიზისი პოსტსაბჭოთა სივრცეში გადამწყვეტწილად განპირობებულია სახელდობრ საგადამხდელო, ურთიერთობის კრიზისით და ამ მიმართულებით პრაქტიკულმა წინსვლამ პოზიტიური შედეგები უნდა მოიტანოს. ნავარაუდევია, რომ თანამეგობრობის მონაწილეთა ყველა ფულადი ერთეული უნდა იყოს ურთიერთკონვერტირებადი, სახელმწიფოთა ტერიტორიაზე არ დაიშვება შეზღუდვები პარტნიორთა ფულის, როგორც საგადამხდელო საშუალების, მიღებასა და გამოყენებაში. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონისათვის, რომელსაც მიმოქცევის მეტად შეზღუდული სფერო აქვს, ამას, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, საარსებო მნიშვნელობა აქვს. საქმიან ადამიანთა თვალსაზრისით საგადამხდელო კავშირის შექმნის შესახებ შეთანხმების რეალიზაცია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, რომელიც, უდავოდ, შეამსუბუქებს და გაამარტივებს გადასახდელების გატარებისა და კონვერტაციის პროცედურას მათთვის.

მოსკოვის შეხვედრაზე მიღ
დოკუმენტებიც, მათ შორისაა
ეროვნულ უმცირესობებს მიკუ
პირთა უფლებების უზრუნ
შესახებ, შეთანხმება საერ
ორგანიზაციებში და ფორუმებ
უკიდებელ სახელმწიფოთა თან
ობის წარმომადგენლობის გან
ების წესის შესახებ, ტაჯიკეთში
ტიური სამშვიდობო ძალების
ვადის გაგრძელების შესახებ...
ეს აგრეთვე ყაზახეთის პრე
ნურსულთან ნაზარბაევის წინ
სახელმწიფოთა ევრაზიის კავში
მირების თაობაზე. მაგრამ, რო
მაჯამებელ პრესკონფერენცია
ნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა
ელცინმა, ყველამ გამოიტანა
რომ „ეს იდეა კარგია, მაგრამ
ვია". სახელმწიფოთა მეთაურებ
წყვიტეს ცნობად მიიღონ
პრეზიდენტის მიერ შემოთა
პროექტი, მისი ძირითადი იდეებ
მოიყენონ ინტეგრაციული პრ
შემდგომი გაღრმავებისათვის
დებელ სახელმწიფოთა თანა
ბაში.

ედუარდ ედიბ
საქინფორმის ს

„თანამეგობრობის განმტკიცებამ, ინტეგრაციული პროცესების განვითარებამ უდავოდ უნდა მიგვიყვანოს საერთო ჰარმონიამდ

(დასასრული)

ვე დროს ევროპული კავშირის წევრი იქნება, და საბოლოოდ, ეს პროცესი მიდის ევრაზიის ერთიანი სივრცისაკენ. ეს მომავლის საქმეა. დღეს კი თანამეგობრობის ყველაზე ელემენტარული და ყველაზე საჭირო საკითხების გადაწყვეტაა მთავარი.

ასეთი იყო ეკონომიკური და სხვა საკითხების შესახებ ჩვენი მსჯელობის არსი.

— გარდა ამისა, შეხვედრაზე იყო საუბარი აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემებზე. თქვენ აღნიშნეთ, რომ ამ მხრივ ახალი ელემენტები გაჩნდა. რამდენად შეუწყობენ ისინი ხელს აფხაზეთის პრობლემის სამართლიან გადაწყვეტას? რამდენად ლოგიკური იყო თქვენი ვიზიტი აფხაზეთში დღეს შექმნილი სიტუაციის ფონზე?

— ვიზიტი თავისთავად აუცილებელი იყო. რადგან ჩვენ თანამეგობრობის წევრი გავხდით, ბუნებრივია, აუცილებელია აქტიური მუშაობა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ იმ დიდი შესაძლებლობების გამოყენების მიზნით, რომლებიც ჩადებულია თანამეგობრობის წესდებაში, თანამეგობრობის მიერ მიღებულ დოკუმენტებში.

რაც შეეხება აფხაზეთს, აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ უმაღლეს დონეზე განისაზღვრა სამშვიდობო ძალების მანდატი. სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში ნაგულისხმევი იყო სხვა ქვეყნების მონაწილეობაც. მაგრამ ამ ეტაპზე მისი რეალიზაცია არ მოხდა. და მაინც, მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ ეს მისია ძირითადად შეასრულონ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა. თუმცა, ზოგიერთმა ქვეყანამ განაცხადა თანხმობა სიმბოლურ მონაწილეობაზე. ყველა ქვეყანა დაეთანხმა მეთვალყურეთა ინსტიტუტის შექმნას და მზადაა გამოგზავნოს თავისი წარმომადგენლები. ესეც მნიშვნელოვანი ნაბიჯი და, თავისთავად, მნიშვნელოვანი მოვლენაა. განსაკუთრებული ის არის, რომ თვით მანდატში ჩაიწერა ზოგიერთი ისეთი რამ, რაც, სურვილის და მოვალეობის შესრულების შემთხვევაში, სამშვიდობო ძალებს ხელს უხსნის იმისათვის, რომ მათ საერთო ინტერესების შესაბამისად იმოქმედონ.

მანდატის შესახებ გადაწყვეტილების შესავალშივე სახელმწიფოს მეთაურები დაეთანხმნენ ფრაზას, რომელშიც ნათქვამია შემდეგი: სამშვიდობო ძალები შექმნიან პირობებს ლტოლვილთა უსაფრთხო, ღირსეული და უსწრაფესი დაბრუნებისათვის. აფხაზეთში ჯარების დისლოცირების დამთავრების შემდეგ, ჩვენ ხშირად გვეუბნებოდნენ: არ შეგვიძლია ვუდარაჯოთ ცალკეულ ოჯახებს, სოფლებსა და ქალაქებს, რადგან ამის მანდატი ჩვენ არ გაგვაჩნია. ახლა მანდატში ჩაწერილია, რომ სამშვიდობო ძალებმა პასუხი უნდა აგონ არა მარტო იმაზე, რომ დაშორიშორების შემდეგ აღარ მოხდეს კონფლიქტები და სისხლისღვრა, არამედ სწორედ უსაფრთხო დაბრუნებაზე, უსაფრთხოების გარანტიებზე, და, რაც მთავარია (ეს ფრაზა შემდეგ დაემატა) — უსწრაფეს დაბრუნებაზე. ამასთან, პარალელურად იგულისხმება აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის გადაწყვეტა. დისკუსიები უკვე მიმდინარეობს და მასთან დაკავშირებით ჩვენ გარკვეული მოსაზრებები გვაქვს. ვფიქრობ, ეს პროცესი ახლა უფრო ინტენსიურად წარიმართება.

— ამ მანდატის მინიჭება რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის ხომ არ გამოიწვევს რაიმე უთანხმოებას საერთაშორისო სტრუქტურებთან, ვთქვათ, გაეროსთან, რომელიც ასევე ჩართულია აფხაზეთის პროცესში?

— არავითარ შემთხვევაში, თუ ეს საკმარისი არ იქნება, არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ცოტა სხვა ფუნქციებზეც ვიფიქროთ. უკვე შეთანხმებული გადაწყვეტილების შესრულებაზე გარკვეული წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, გაეროს წესდება იძლევა ზოგიერთი ძალისმიერი ელემენტის გამოყენების უფლებას. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ შემდეგ ეტაპზე, თუ დაბრუნების პროცესი მტკივნეული იქნება, ზოგიერთი სხვა ღონისძიებაც განხორციელდეს. ვიმეორებ, ეს სულაც არ ნიშნავს აფხაზი მოსახლეობის ინტერესების უგულებელყოფას. იგულისხმება ისიც, რომ ჩვენ პოლიტიკური სიტუაციის მოწესრიგების დარგშიც უფრო ჩქარი ტემპით წავალთ.

ამ ვიზიტიდან გამოვყოფდი რამდენიმე მომენტს: მოკლე, მაგრამ ძალიან დატვირთულ და საინტერესო შეხვედრას რუსეთის პრეზიდენტთან, აფხაზეთში, შექმნილი ვითარების მოკლე მიმოხილვით. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების დაჩქარების აუცილებლობას, საუბარი შეეხო ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის ზოგიერთ პრობლემას, სამხედრო თანამშრომლობის ცალკეულ საკითხებს. საბოლოოდ, ჩვენ პრეზიდენტთან შევთანხმდით, რომ ყველა საკითხი, რომლებსაც პრაქტიკული, სერიოზული მნიშვნელობა აქვთ დღევანდელი ურთიერთობისათვის როგორც რუსეთ-საქართველოს შორის, ასევე თანამეგობრობის ფარგლებში, დეტალურად იქნება განხილული პრემიერ-მინისტრ ჩერნომირდინის დონეზე, საგარეო საქმეთა, თავდაცვის სამინისტროების, სხვა უწყებების მონაწილეობით.

ასეთი ორსაათიანი შეხვედრა შედგა საქართველოს და რუსეთის ხელმძღვანელობას შორის პრემიერ-მინისტრ ჩერნომირდინის მონაწილეობით. დეტალურად განვიხილეთ ეკონომიკური ურთიერთობისა და თანამშრომლობის პრობლემები. უნდა გითხრათ, რომ აქ მართლაც რევოლუცია უნდა მოხდეს. ჩვენ კვლავ იმ ძველი წარმოდგენებით ვცხოვრობთ, რომ ყველაფერი სახელმწიფოთა, მთავრობათა დონეზე უნდა მოგვარდეს. ახლა სხვა დროა. მაშინ, როცა ისეთი სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებები დაიდო, რომლებიც სტიმულს აძლევენ ეკონომიკურ განვითარებას — ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს უნარზე: როგორ კავშირებს დავამყარებთ სამინისტროებთან, ჩვენს მეზობლებთან — კრასნოდარის, სტავროპოლის მხარეებთან, დაღესტანთან და სხვებთან. რუსეთი ახლა კი აღარ გვზღუდავს, პირიქით, სტიმულს გვაძლევს, რომ ამ რეგიონებმა ჩვენთან აქტიურად ითანამშრომლონ.

ერთ შეხვედრაზე შეუძლებელი იყო ყველა საკითხის მოგვარება და გადაწყვეტა. შევთანხმდით, რომ ნოემბრის დამდეგს პრემიერ-მინისტრი საკმაოდ დიდი ჯგუფით, მათ შორის საგარეო საქმეთა, თავდაცვის სამინისტროების ხელმძღვანელობასთან ერთად ჩამოვლენ, რათა განვიხილოთ ჩვენი ურთიერთობის მთელი კომპლექსი, მათ შორის აფხაზეთის პრობლემები, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გზები, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პროცესი. ვფიქრობ, რომ ეს სავსებით შესაძლებელია. მე გამოვთქვი ზოგიერთი მოსაზრება და შეფასება ამ კონფლიქტთან დაკავშირებით. ვფიქრობ, თანდათან ვუახლოვდებით იმ ბაზას, რომლის საფუძველზეც ეს კონფლიქტი უნდა მოგვარდეს ისევე, როგორც აფხაზური კონფლიქტი. ასე რომ, თბილისის შეხვედრაზე განხილული იქნება მნიშვნელოვანი საკითხები და შეიძლება გადაწყვეტილებებიც ეტაპობრივი ხასიათისა იყოს.

ამ კონფლიქტების მოგვარებაში უკანასკნელ ხანს საკმაოდ აქტიურად გამოიკვეთა ეკონომიკური ასპექტები. მაგალითად, რკინიგზის აღდგენის პრობლემა, რომელიც აინტერესებს არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთს, აზერბაიჯანს, უკრაინას, რუსეთსა და სხვებს, განსაკუთრებით, ჩეჩნეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. ყველაფერი ეს ერთგვარი ხელშემწყობი ელემენტებია იმისა, რომ კონფლიქტების მოგვარება დაჩქარდეს ჩვენთანაც და ზოგიერთ სხვა რეგიონშიც.

ასეთი იყო ძირითადად ამ შეხვედრების შინაარსი.

მე კიდევ ორ აზრს გავუსვამდი ხაზს. ზოგიერთს ებადება კითხვა: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან ასეთი დაკავშირება და საერთო ინტეგრაციულ მოძრაობაში ჩართვა ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენ განვუდექით ევროპას, რომ დასავლეთის ქვეყნებთან კავშირს შევასუსტებთ და სხვ. ყველაფერი ეს ისევ გულუბრყვილო მსჯელობის დონეზეა. მიმაჩნია, რომ, რაც უფრო მჭიდრო, გამართლებული და სასარგებლო იქნება ინტეგრაციული პროცესები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში, მით უფრო შემოკლდება ევროგაერთიანებასთან, ევროკავშირებთან დაახლოების გზა. აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის. არ არის წინააღმდეგობა იმაშიც, რომ თანამეგობრობის განმტკიცებამ, ინტეგრაციული პროცესების განვითარებამ უდავოდ უნდა მიგვიყვანოს საერთო ჰარმონიამდე ჩვენს საერთაშორისო ურთიერთობაში.

— გასულ კვირას რამდენიმე ისეთი ფაქტი მოხდა, რომელთა ერთმანეთთან დაკავშირება, ალბათ, შეიძლება. მოკლეს რუსი ჟურნალისტი ხოლოდოვი; ისრაელში მორიგი ტერორისტული აქტი განხორციელდა. მსოფლიოს საზოგადოებრიობამ თავისი დამოკიდებულება ამ ფაქტებისადმი, როგორც ყოველთვის, თავშეკავებული ფორმით გამოხატა. ტერორიზმი მაინც დაუსჯელი დარჩა

მარტო ისრაელში. რადგან რუს ჟურნალისტზე
და საუბარი, ვიცით, რომ საქართველოშიც
ფაქტები...
— ტერორიზმთან დაკავშირებით: ჩვენში ალ
რეაქციას იწვევს ყველაფერი, რაც ტერორიზმს
და მის შედეგად ხდება მსოფლიოს სხვადასხვა
ამ ბოლო ფაქტთან დაკავშირებით უკვე გამოვ
დამოკიდებულება და აზრი. დასკვნები ისევ ჩვენ
რების მაგალითით უნდა გამოვიტანოთ. მიმაჩ
საქართველოში კი შენელდა ტალღა, მაგრამ ტერ
საფრთხე ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის. ს
რი საკოორდინაციო საბჭოს უახლოეს სხდომაზ
ხილავთ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მ
ბას. უამრავი საქმეებია დარჩენილი, რომლებიც
დე არ არის მიყვანილი პრობლემის სიმძიმის
წინებით, ალბათ, ძნელია ედავო მოსამართლეებს,
გაუხსნელი საქმეები კი ჩვენს სინდისზეა. ვფიქ
ჭიროა მთელი ძალების მობილიზება, რათა ყ
ნათელი მოეფინოს და, რაც მთავარია, გამოირი
ნი ცხოვრებიდან ტერორიზმი როგორც ასეთი და
ტო მისი რეალური გამოვლინება, არამედ მისი
ნების საფრთხეც კი. ამასთან დაკავშირებით ძა
რა სამუშაო გვაქვს. ყველა ორგანოს მოვთხოვთ
გორც უნდა ითხოვდნენ ნორმალურ სახელმწიფო
რუსი ჟურნალისტის დაღუპვასთან დაკავშირებ
წუხაროდ, ეს ერთეული ფაქტი არ არის. ჩვენდ
ხაროდ, ვერც საქართველო ასცდა ამ ტალღას.
ნოემბერს სპეციალური წერილით მივმართე
ჟურნალისტურ ორგანიზაციებს, სამთავრობო ორ
ებს კი — სპეციალური მოწოდებით. გული მწყ
ამ მოწოდებამ მაშინ არ მიიღო სათანადო შე
მოხდა სათანადო რეაგირება, გარდა ერთი ქვე
იყო დაკავშირებული ჩვენთვის კარგად ცნობილ
ნავი პიროვნებისა და მოქალაქის, ჟურნალისტ
ქვაძის მხეცურ მკვლელობასთან, დახვრეტასთან.
პრეზიდენტის მომხრეებმა დახვრიტეს. ზოგიერთ
საზოგადოებისაგან უკვე იზოლირებულია და
მთელი სიმკაცრით. ამავე დროს მე ვწერდი, რო
ლისტების დევნამ აფხაზი სეპარატისტების მხრი
დაპირი გაგებით გენოციდის სახე მიიღო. გა
მისთაზე მოკლული საშა იოსელიანი, შესანიშ
როვნება და ჟურნალისტი, იგი ამ გენოციდის მ
გახდა. ასევე მახსენდება ქალბატონი ეთერ ჯ
აფხაზეთის პოეტი ქალი და ჟურნალისტი, რომ
ხუმში, ყაზბეგის ქუჩაზე დახვრიტეს და მრა
ფაქტი, დატყვევებული ჟურნალისტები, რომლებ
ებში იყვნენ თვეებისა და წლების განმავლობაში
მებდნენ. ზოგიერთის გამოხსნა მოხერხდა. მიმაჩ
ველივე ამაზე იყო ლაპარაკი. ამ მხრივ ჩემი სინ
თაა. მიმაჩნია, რომ ისევე, როგორც სეპარატი
ავადმყოფური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლ
ნალისტთა დაცვის თვალსაზრისით დღევანდელი
თავის სიმაღლეზე არ დგას. ვინც საქართველო
ლისტების სისხლი დაღვარა, ისინი საქართველო
არიან, რომელ გვარსაც უნდა ატარებდნენ და
პოლიტიკური მრწამსიც უნდა ჰქონდეთ. სახ
რომელიც ჟურნალისტს ვერ იცავს და იმუნი
უქმნის მას მოქმედების თავისუფლებისათვის,
ფო არ არის. იმასაც ვიტყვი, რომ რუსი ჟურ
მკვლელობის ფაქტის შეფასების დროს პრეზიდ
ცინმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ფრაზა წარმოთ
ნალისტების გარკვეულმა წრეებმა თავიანთი ეთი
ობრივი პრინციპები უნდა დაიცვან და ამ პრინ
სახურონ. მაგრამ, ეს სხვა საკითხია. დღეს მინ
შინაგანი განწყობა და აღშფოთება, ჩემი შინ
გაში გამომეხატა ამ ბოლო დროს ჟურნალი
მართ ანგარიშსწორების ფაქტებთან დაკავშირ
უმეტეს, რომ საქართველომ ამ მხრივ ბევრი გ
ძალიან ბევრი დაკარგა, კიდევ ვიმეორებ: დ
ვაძე, საშა იოსელიანი, ეთერ ჯლამაძე და სხვ
ლებმაც პასუხი აგეს თავისი სიცოცხლით, სიცო
წირეს სიმართლეს. ჩვენ შევეცდებით, შევქმნათ
ლოში დაცვისა და გარანტიის ის ინსტიტუტებ
ბიც აუცილებელია ყველა ჟურნალისტისათვის.

MARKETING
BUSINESS

თბილისის მენეჯერთა სკოლა

გიწვევთ მენეჯერთა მომზადების სპეციალური 3-თვიანი ინტენსიური კურსის გასავლელად

სწავლისას თქვენ გექნებათ შესაძლებლობა დაეუფლოთ საბაზრო ეკონომიკის, ბიზნესის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, აღრიცხვისა და ფინანსების, საბანკო საქმიანობისა და კომპიუტერების საფუძვლებს.

თბილისის მენეჯერთა სკოლის სერტიფიკატი და ჩვენი მდიდარი საერთაშორისო კავშირები ბიზნესში თქვენი მომავალი წარმატებების საწინდარია.

საბუთების მიღება იწარმოებს 4 ნოემბრამდე, 10-დან 17 საათამდე, ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა. ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების საფუძველზე.
სწავლა დაიწყება 7 ნოემბერს.
მეცადინეობები ჩატარდება დღის მეორე ნახევარში.

ჩვენი მისამართია: თბილისი,
ვაჟა-ფშაველას 40 (მეტრო „დელისი")
თბილისის მენეჯერთა სკოლა ცნობებისათვის დარეკეთ
39-11-30, 39-34-61, 39-16-78

გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის მიმარ გაერთიანებული ერების დღისა

1994 წლის 24 ოქტომბერი

გაერთიანებული ერების დღე გადაიქცა საქვეყნოდ აღიარებული ზეიმისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში არსებული მდგომარეობის განსჯის დღედ.

დღეს ყველა ვცხოვრობთ გლობალურ კონტექსტში. საზოგადოებები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მარტო ყოფნის ძალა შესწევდათ, ახლა ხედავენ როგორ არიან სხვებთან გადაჯაჭვული. თანდათან ყველას უფრო კარგად ესმის, რომ მშვიდობის, განვითარებისა და დემოკრატიის დიად მიზნებს სჭირდება უფრო მეტი და ყოვლისმხრივი ძალისხმევა.

მომავალ წლებში, გაერთიანებული ერები მოუწოდებს მსოფლიოს ხალხებსა და მთავრობებს თავად იტვირთონ პასუხისმგებლობა განვითარების ძალისხმევაზე. მიმდინარე წელს ჩვენ განვიხილავთ იმ წარმატებებს, რომელიც მიღწეული იყო გარემოსა და განვითარების პრობლემებისადმი მიძღვნილ, 1992 წელს რიო დე ჟანეიროში გამართულ გაერთიანებული ერების კონფერენციის შეთანხმებით. ჩვენ აგრეთვე განვაგრძობთ იმ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფას, რომლებიც მიღწეული იყო 1993 წელს, ვენაში გამართულ მსოფლიო კონფერენციაზე ადამიანის უფლებათა შესახებ.

უმაღლესი დონის მსოფლიო შეკრებაზე, რომელიც გაიმართება 1995 წელს, კოპენჰაგენში, სადაც განვიხილავთ სოციალური განვითარების საკითხებს,
მოვიყრით, რათა შევ
დაწყვეტილება განვით
ზისის თაობაზე, რომ
ყველა ერს, მდიდარს
ქალთა საკითხისადმ
საერთაშორისო კონფ
1995 წლის სექტემბერ
იმართება პეკინში,
საკითხს განვითარებ
ქალთა განსაკუთრებულ
ლობის შესახებ.
მიმდინარე წელს, რ
დებით გაერთიანებულ
მოცდამეათე წლისთავი
გავიხსენოთ სიტყვები,
თაც ჩვენი წესდება იწ
გაერთიანებული ერ
ბი..." ჩვენ ყველა
გაერთიანებული ერე
ნებული ერები არ
უფრო მეტად გახ
როგორც უნდა იყოს
ვანის თანახმად.
ცოდნა იმისა თუ რა
გენს გაერთიანებულ
უფრო და უფრო მნ
ხდება ადამიანებისათვ
სადაც არ უნდა იყვნენ
ლხის აქტიური მხარ
ერთიანებული ერები
ასრულოს თავისი
როლი მშვიდობისა დ
ბის, სოციალური და
რი პროგრესის, ადამი
ლური განვითარების
დე ეს დღე იქნეს
თქვენი გაერთიანებულ
წარმატებისა მომავლ
ვალ გზაზე.

საქართველო: საინსტიტუციო რეფორმები და ეკონომიკის მართვა[1]

(მონახაზი)

1. შესავალი

1.1 თავისუფლებასთან ერთად საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო ადმინისტრაციული სტრუქტურა, რომელიც არ ასრულებდა თავისუფალი ერისთვის აუცილებელ ფუნქციებს და არ უპასუხებდა მოთხოვნებს საბაზრო ეკონომიკისა, რომლის განვითარებაც საქართველოს მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა. ეს ნაკლი განსაკუთრებით მწვავედ გამოიხატა ეკონომიკური მართვის სფეროში, სადაც ადრე საქართველოს ეკონომიკის შესახებ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა იღებდა.

1.2 ინტერვენციის, სამოქალაქო არეულობისა და მკაცრი ეკონომიკური კრიზისის პერიოდში მთავრობას ეკონომიკის მართვის საერთო და საკვანძო სფეროებში საინსტიტუციო რეფორმების გატარების მცირე შესაძლებლობა ჰქონდა. საინსტიტუციო რეფორმების უკეთ გასატარებლად, მთავრობამ ახლახანს ჩამოაყალიბა სახელმწიფო ორგანიზაციების სტრუქტურის სახელმწიფო კონტროლი პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით, რომლის სამდივნოც დაფუძნებულია მინისტრთა კაბინეტის ბაზაზე. კომისიამ ზედამხედველობა უნდა გაუწიოს მთავრობის მიერ დასაქმებული შტატების, სამთავრობო სამინისტროებისა და დეპარტამენტების მოსამსახურეების 30-50%-ით შემცირებას საბაზრო ეკონომიკაში მათი როლის უკეთ შესრულების მიზნით.

გამოკვლევის საბაბი

1.3 წინამდებარე გამოკვლევა ჩატარდა პრემიერ-მინისტრის მოადგილის (ეკონომიკის დარგში) თხოვნის საფუძველზე. იგი მიმოიხილავს საქართველოში არსებულ სამთავრობო დაწესებულებებს და მიუთითებს რეფორმისა და რეკონსტრუქციის საკვანძო სფეროებს. აქ მოცემულია უფრო დეტალური რჩევები, ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისა და პროგრამის განვითარების შესახებ.

1.4 გამოკვლევის ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანა შეხვედრებმა მინისტრთა კაბინეტის (COM) მინისტრებთან, ოფიციალურ პირებთან და მრჩევლებთან: სახელმწიფოს მეთაურის აპარატის (OHS), ეკონომიკის დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროს (MOF), ეკონომიკის სამინისტროს (MOE), საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტის (CFER), სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს (MAFI), მრეწველობის სამინისტროსა (MOI) და ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტროს (MTMR) წარმომადგენლებთან.

2. მთავრობის როლი საბაზრო ეკონომიკაში

2.1 საბაზრო ეკონომიკის განვითარებისას მთავრობამ, უპირველეს ყოვლისა, ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური აქტიურობის სტიმულირებას და ამავე დროს უზრუნველყოს მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ მოთხოვნების განხორციელებისათვის საჭიროა სულ ცოტა ოთხი მთავარი მიმართულების განვითარება:

— ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი პოლიტიკის შემუშავება;

— ინფრასტრუქტურის შექმნა და უზრუნველყოფა სერვისით (ელექტროენერგია, წყალი, საგზაო კომუნიკაციები, კანონი და წესრიგი და განათლება), რაც საჭიროა საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის და რისი მიწოდება კერძო სექტორიდან არ არის მიზანშეწონილი;

— სოციალურად დაუცველი ფენისთვის ძირითადი სოციალური მომსახურების გარანტირება;

— მთავრობის ფინანსების მართვის უზრუნველყოფა ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების მოთხოვნების შესაბამისად.

2.2 საქართველოში, ისევე როგორც სხვა ყოფილ სოციალისტურ რესპუბლიკებში, ეს საჭიროებს სამთავრობო ინსტიტუტების დანიშნულების შეცვლას. ისეთი ორგანიზაციებიდან, რომელთაც უნდა მიეღოთ გადაწყვეტილებანი ცენტრალურად შემუშავებული მიზნების დასაკმაყოფილებლად, ისინი უნდა გადაიქცნენ პოლიტიკის შემმუშავებელ სააგენტოებად, რომლებიც ორიენტირებული იქნება ღია საბაზრო ეკონომიკაზე. ამასთან, სამთავრობო სტრუქტურას ეკისრება რიგი ფუნქციებისა, რომლებიც ან ახლო მომავალში ან დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს. მათ შორის: 1) გეგმიანი ეკონომიკური სისტემიდან მემკვიდრეობით მიღებული „ტრადიციული" ფუნქციები, რომლებიც მიუღებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში; 2) ეკონომიკის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული გადამწყვეტი „ტრადიციული" მოვალეობანი.

3. მთლიანი საინსტიტუციო სტრუქტურა და ფუნქციები

სახელმწიფოს მეთაურის აპარატისა და მინისტრთა კაბინეტის როლი

3.1 საკონსტიტუციო კომისია მუშაობს ახალი კონსტიტუციის შექმნაზე, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის უფლება-მოვალეობებს და ურთიერთობებს სახელმწიფოს მეთაურის აპარატსა და მინისტრთა კაბინეტს შორის.

3.2 არსებული კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს მეთაური, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ასახელებს მინისტრების კანდიდატურებს, რომელთა რატიფიცირება უნდა მოახდინოს პარლამენტმა. სახელმწიფოს მეთაურის აპარატი წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველ ორგანოს და სამდივნოს, მას ევალება მთავრობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებებისა და პროგრამების შემუშავება და პარლამენტში განხილვამდე საკანონმდებლო ორგანოებისთვის მათი წარდგენა. სახელმწიფოს მეთაურის აპარატი არ წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს[2] და არ არის ჩართული ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და მთავრობის პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული დეტალების შემუშავებაში.

3.3 სახელმწიფოს მეთაურის აპარატმა ახლახან განიცადა რეორგანიზაცია, რომელიც გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული მრჩევლის რეკომენდაციებს დაეყრდნო. ამის შედეგი იყო შტატების მკვეთრი შემცირება და მისი მუშაობის ზემოჩამოთვლილი საკვანძო ფუნქციების შესრულებაზე მიმართვა.

3.4 სახელმწიფოს მეთაურის აპარატში არსებობს ეკონომიკის ქვეგანყოფილება, რომელიც შედგება 5 მრჩეველისაგან და რომელსაც ყოფილი ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ხელმძღვანელობს. ამ ერთეულის მოვალეობაა შეაფასოს სახელმწიფოს მეთაურის მუშაობა ეკონომიკის დარგში და მისცეს მას რჩევები პოლიტიკურ და საკანონმდებლო საკითხებთან დაკავშირებით. ეკონომიკის ქვეგანყოფილება აგრეთვე წარმოადგენს განსაკუთრებული შემთხვევებისათვის არსებული ეკონომიკის საბჭოს სამდივნოს, რომელიც ჩამოყალიბდა 1993 წლის დასაწყისში სახელმწიფოს მეთაურის ხელმძღვანელობით. საბჭოს მოვალეობაა დააწესოს ყოველმხრივი კონტროლი სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციებზე ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და მასთან დაკავშირებული საკითხების[3] მიღების თვალსაზრისით.

ცხრილი 1: გადაუდებელი შემთხვევებისათვის არსებული ეკონომიკური საბჭოს ფუნქციები:

ა) საბალანსო ეკონომიკის განვითარებისთვის გატარებული ღონისძიებების ანალიზი, მომავალი განვითარების წინასწარი განსაზღვრა.

ბ) შიდა სახელმწიფო ეკონომიკური ხელშეკრულებების, საზოგადოებრივი ინვესტიციების პროექტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წინადადებების (დაფინანსებული კრედიტის ან კონცესიური გზით), სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმების კონცეფციებისა და პროგრამების განხილვა და ანალიზი;

გ) მინისტრთა კაბინეტიდან, ცალკეული სამინისტროებიდან და დეპარტამენტებიდან, ეროვნული ბანკიდან, ავტონომიური რესპუბლიკებიდან და ადგილობრივი თანამდებობის პირებისგან მიღებული, ეკონომიკური კრიზისის გადალახვის გზებთან, ეკონომიკური რეფორმების ჩატარებასთან და სამომავლო საქმიანობის დაგეგმვასთან დაკავშირებული ინფორმაციის შესწავლა და განხილვა;

დ) სავალუტო და ფინანსური პოლიტიკის სფეროს განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;

ე) მითითებებისა და რეკომენდაციების მომზადება ეკონომიკურ პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების გასაცნობად, სპეციფიკურ პრობლემებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, საზოგადოებრივ სექტორში ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრამებისა და პროექტების განსასაზღვრავად;

ვ) მინისტრთა კაბინეტის, ეროვნული ბანკისა და სახელმწიფოს მეთაურის წინაშე სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წინადადებების წარდგენა განსახილველად და მიღებული წინადადებების ეფექტიანობის ანალიზი;

ზ) კანონმდებლობის გაძლიერება და დახვეწა ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის თვალსაზრისით და ამ კონტექსტში შესაბამისი ბილების განხილვა.

3.5 მინისტრთა კაბინეტი მთავრობის საქმიანობის ძირითადი მაკოორდინებელი ორგანოა. იგი განიხილავს სამთავრობო პოლიტიკისა და პროგრამების განვითარებას. მინისტრთა კაბინეტის ბირთვი შედგება პრემიერ-მინისტრის მოადგილეებისაგან, მინისტრებისაგან და სახელმწიფო კომიტეტების[4] თავმჯდომარეებისაგან. მინისტრთა კაბინეტში არსებული ეკონომიკური რეფორმებთან დაკავშირებული საკითხების კომისია, რომლის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრის მოადგილე (ეკონომიკის დარგში) პასუხისმგებელია ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის გამო მათი მინისტრთა კაბინეტის ბირთვის წინაშე წარდგენამდე. მისი ფუნქცია და შემადგენლობა მნიშვნელოვნად ემთხვევა განსაკუთრებული შემთხვევებისათვის არსებული ეკონომიკური საბჭოსას.

3.6 მეოთხე განყოფილებაში განხილულია მინისტრთა კაბინეტის ფუნქციები.

სამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურა და ფუნქციები

3.7 მინისტრთა კაბინეტი უშუალოდ ხელმძღვანელობს 45 ორგანიზაციას. მათ შორის:

— მთავრობის ცენტრალური ფუნქციებისათვის და ძირითადი ეკონომიკური სექტორებისათვის პასუხისმგებელ ჩვიდმეტ სამინისტროს (ფინანსთა, ეკონომიკის მართვის, საგარეო საქმეთა და ა. შ.). მათი მინისტრები მინისტრთა კაბინეტის წევრები არიან.

— შიდა დარგობრივ სახელმწიფო კომიტეტებს, რომლებიც ანხორციელებენ მთავრობის სპეციფიკურ ფუნქციებს, მათი თავმჯდომარეები აგრეთვე მინისტრთა კაბინეტის წევრები არიან.

— ცალკე მდგომ დეპარტამენტებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მთავრობის პოლიტიკისა და პროგრამების შესრულებაზე ეკონომიკის გარკვეულ ქვედარგებში, ამასთან არ არიან ადმინისტრაციულად დამოკიდებული არც ერთ დარგობრივ სამინისტროზე. ამ დეპარტამენტებს უშუალოდ მინისტრთა კაბინეტი ხელმძღვანელობს, მაგრამ მინისტრთა კაბინეტის ბირთვში ისინი წარმოდგენილი არ არიან.

— როგორც სამთავრობო, ისე კერძო სექტორის ორგანოების საქმიანობისათვის გადასახადების დაწესებისა და მისი რევიზიისათვის პასუხისმგებელ საინსპექციო სააგენტოებს.

— ძირითად სახელმწიფო კორპორაციებს, რომლებიც თავისი ეკონომიკური სპეციფიკის გამო არ არიან ანგარიშვალდებული არც ერთი ცალკეული სამინისტროს წინაშე.

3.8 1992 წლის შემდეგ გაიზარდა რიცხვი იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც უშუალოდ ანგარიშვალდებული არიან მინისტრთა კაბინეტის წინაშე. ამის შედეგად ზოგიერთ სექტორში აღარ არსებობს ცალკე ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებისა და კოორდინირებისათვის. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში, სადაც მოხდა სამინისტროების გაუქმება და თითოეული ქვე-სექტორის ცალკეული სამოქმედო დეპარტამენტი უშუალოდ მინისტრთა კაბინეტს დაემორჩილა. ეს, აგრეთვე, ეხება სოფლის მეურნეობასაც, სადაც ხე-ტყისა და მიწის რესურსების დეპარტამენტი და პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის გაერთიანება დამოუკიდებლად მინისტრთა კაბინეტის წინაშე აგებენ ანგარიშს. ამის შედეგად გაიზარდა მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობა სამთავრობო პოლიტიკის კოორდინირებისა და პროგრამების განვითარების გამო.

სამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურა და ფუნქციები

3.9 სახელმწიფო სამინისტროებსა და დეპარტამენტებს ჯერ კიდევ საგრძნობლად აქვთ შენარჩუნებული კომუნისტური პერიოდისაგან მემკვიდრეობით მიღებული როლი და საორგანიზაციო სისტემა. მას ახასიათებდა უკიდურესი ცენტრალიზება ეკონომიკის სფეროს უმეტესი ასპექტების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. ხოლო ერთმანეთისაგან გამიჯნული სამინისტროები და დეპარტამენტები ანხორციელებდნენ უფრო მაღალ სამთავრობო სტრუქტურებში მიღებულ გადაწყვეტილებებს.

3.10 ამის შედეგად, მთავრობის როლის შეცვლასთან ერთად ადგილი აქვს სხვადასხვა სააგენტოების ადგილისა და ფუნქციების საგულისხმო დუბლირებას. ეს ეხება როგორც დიდი ხნის წინათ დადგენილ ფუნქციებს, ისე ახლად დაკისრებულს. მაგ.:

— ირკვევა, რომ ეკონომიკის სამინისტროში რიგ განყოფილებებს ეკისრება იგივე ფუნქციები, რაც სექტორულ სამინისტროებს;

— როგორც საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტი, ისე ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრო პრეტენზიას აცხადებს ვაჭრობის განხორციელებაზე;

— ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტის, ეკონომიკის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობა დახმარების კოორდინირებისა და მართვის თვალსაზრისით.

3.11 ბევრ სამინისტროს აქვს დანაწევრებული სტრუქტურა და ახასიათებს განყოფილებების სიჭარბე მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებთან შედარებით. კერძოდ, ასეთი ფრაგმენტულობა შეიმჩნეოდა ფინანსთა, ეკონომიკის და სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროების სტრუქტურებში.

3.12 ასევე უკიდურესად სუსტია ეკონომიკური პოლიტიკა და ანალიზისუნარიანობა. ეს გამოიხატება როგორც ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის დაგეგმარებისადმი მექანიკურ მიდგომაში და აქედან გამომდინარე ეკონომიკური პოლიტიკის გამოცდილების მქონე კადრების ნაკლებობაში, ასევე დარგობრივი სამინისტროებისა და სააგენტოების მეტად შეზღუდულ როლში ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით. ამჟამად არც ერთ სექტორულ სამინისტროს არ გააჩნია ეკონომიკური პოლიტიკის ერთეული.

3.13 სამინისტროებისა და დეპარტამენტების სტრუქტურა და მართვის სტილი მეტად იერარქიულია. ამასთან, სხვადასხვა სამინისტროებისა და სააგენტოების თანამდებობის პირებს შორის პირდაპირი კავშირი მინიმალურია.

დასკვნები და რეკომენდაციები

3.14 ზედმეტია იმ სამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც უშუალოდ ანგარიშმგებელნი არიან მინისტრთა კაბინეტის წინაშე. ამის შედეგად: ა) მინისტრთა კაბინეტის აპარატი უფრო მეტად მონაწილეობს გადაწყვეტილებათა დეტალურ შემუშავებაში, ვიდრე სამთავრობო საქმიანობის მართვასა და მინისტრთა კაბინეტისადმი ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების განსახილველად წარდგენაში; ბ) იზღუდება დარგობრივი სამინისტროების როლი სამთავრობო პოლიტიკისა და პროგრამების შესაბამის სექტორში განხორციელების თვალსაზრისით; გ) ხდება მთავრობის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის[5] შენელება.

3.15 უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შემცირდეს იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც უშუალოდ ანგარიშვალდებულნი არიან მინისტრთა კაბინეტის წინაშე. ამისათვის:

— სამინისტროები პასუხს უნდა აგებდნენ მათი სექტორის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის გამო;

— დეპარტამენტები და კომიტეტები უნდა მოექცნენ შესაბამისი სამინისტროების სტრუქტურებში; და

— საჭიროა სამინისტროს ფუნქციების რეორგანიზება იმ სფეროებში, სადაც არ არსებობს სექტორისათვის პასუხისმგებელი სამინისტრო, როგორც მაგალითად, ენერგიისა და ტრანსპორტის შემთხვევაში, ან სამინისტროების პასუხისმგებლობა ერთმანეთს ემთხვევა.

3.16 სამინისტროების რეკონსტრუქციისათვის საჭიროა „რეფორმების განრიგის" შემუშავება. ამისათვის უნდა მოხდეს თითოეული ორგანიზაციის როლისა და ფუნქციების ხელახალი შეფასება და გამოკვეთა:

ა) **„ბირთვული" გრძელვადიანი ფუნქციებისა**, რომელთა განხორციელებას სამინისტრო შემდგომშიც განაგრძობს, ან რომელთაც ზოგ შემთხვევაში გაეცნობა;

ბ) **„ტრადიციული" ფუნქციებისა**, რომლებიც აღარ შეესაბამება საბაზრო ეკონომიკას ან უკვე მოძველებულია და შესაძლოა გაუქმდეს;

გ) **„გარდამავალი ფუნქციებისა"**, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკური რეფორმის პროცესთან და რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, გაუქმდება;

დ) „დუბლირებული ფუნქციებისა", რომელთაც ახორციელებს ერთზე მეტი სააგენტო და საჭიროებენ ერთი ორგანიზაციის ფარგლებში გაერთიანებას.

3.17 ამგვარ ანალიზზე დაყრდნობით მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ფუნქციების თითოეული ჯგუფის გამოყოფა და ვადების შემუშავება ტრადიციული, გარდამავალი და დუბლირებული ფუნქციების გასაუქმებლად. მოყვანილი „პირობითი ვადები" იმ კატეგორიებში გაერთიანებული განყოფილებებისათვის გააადვილებს რეფორმის პროცესს.

4. მინისტრთა კაბინეტის აპარატი

მინისტრთა კაბინეტის აპარატის ფუნქციები

4.1 დეტალურად იქნა განხილული მინისტრთა კაბინეტის აპარატის როლი და ფუნქციები. აპარატი ახორციელებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

— მინისტრთა კაბინეტისა და მისი შემადგენელი კომიტეტებისა და კომისიების თათბირების მომზადება (მომსახურება);

— პრემიერ-მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის მოადგილეებისათვის დახმარების გაწევა მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი სამინისტროებისა და სამთავრობო ორგანოების ზედამხედველობის თვალსაზრისით;

— საქართველოს საზოგადოებრივი მართვის სრული კოორდინირება და მართვა.

საორგანიზაციო სქემა

4.2. სქემაზე ნაჩვენებია მინისტრთა კაბინეტის აპარატის არსებული საორგანიზაციო სტრუქტურა.

4.3 მინისტრთა კაბინეტის აპარატის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი არის სამსახურის უფროსი და მინისტრთა კაბინეტის მდივანი. იგი უშუალოდ ზედამხედველობს შვიდ სამმართველოს (ადმინისტრაციულ განყოფილებას), მაშინ როდესაც სხვა განყოფილებები პირდაპირ ანგარიშვალდებული არიან პრემიერ-მინისტრის ან მისი მოადგილის წინაშე.

4.4 მინისტრთა კაბინეტის სრული შტატი 250 საშტატო ერთეულისაგან შედგება (დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ შტატების შემცირების—400-დან—შედეგი). შეიმჩნევა თანამშრომლობის მუდმივობა. უმეტესობას ხანგრძლივი სტაჟის მქონე სამთავრობო თანამშრომლები წარმოადგენენ. არსებულ შტატში ერთი ყოფილი პრემიერ-მინისტრია და რამდენიმე ყოფილი მინისტრი.

პრემიერ-მინისტრის მოადგილის თანამდებობა

4.5 მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის საკვანძო მახასიათებელს წარმოადგენს პრემიერ-მინისტრის ხუთი მოადგილის როლი დარგობრივი სამინისტროების და ორგანიზაციების ზედამხედველობის თვალსაზრისით და მათი ადგილი აპარატში (მინისტრის პორტფელის უშუალო მფლობელების საპირისპიროდ). ასეთ სტრუქტურას, საერთოს თანამეგობრობის სხვა ქვეყნებისათვის, დასავლეთში ანალოგი არ გააჩნია. ეს განსხვავება ასახავს ყოფილი გეგმიანი (საკომანდო) ეკონომიკისათვის დამახასიათებელ გადაწყვეტილებების ცენტრალიზებული გზით მიღებას, რაც უპირისპირდება საბაზრო ეკონომიკის მთავრობებისადმი დამახასიათებელ სამინისტროების დელეგირების მაღალ დონეს.

4.6 პრემიერ-მინისტრსა და მის თითოეულ მოადგილეს აქვს მცირე პირადი ოფისი, რომელიც შედგება ორი ადმინისტრაციული და ორი საკანცელარიო-სამდივნო საშტატო ერთეულისაგან.

სექტორული განყოფილებები

4.7. მინისტრთა კაბინეტის აპარატის საშტატო ერთეულების უმეტესობა ერთვის 17 სექტორულ განყოფილებას, მათ ეკისრება ადმინისტრაციული და პოლიტიკური როლი, ევალება კორესპოდენციის მიწოდება სამინისტროებსა და დეპარტამენტებიდან, პრემიერ-მინისტრის მოადგილეებისთვის მათ მიერ მისაღები გადაწყვეტილებების თაობაზე რეკომენდაციების გაწევა. ისეთ სექტორებში, სადაც არ არსებობს დარგობრივი სამინისტრო (მაგ.: ტრანსპორტი და ენერგეტიკა), ასეთ განყოფილებებს ეკისრება უფრო თვალსაჩინო როლი დარგობრივი პოლიტიკებისა და პროგრამების კოორდინირების თვალსაზრისით. თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ ზედმეტად დიდი რაოდენობა უმნიშვნელო საკითხების გადასაწყვეტად გადაეცემა მინისტრთა კაბინეტს.

4.8 განყოფილებათა შტატი, როგორც წესი, ხუთი ან ათი ერთეულისაგან შედგება. მათგან 50% მუშაობს თავისი პროფესიით და აქვს თავისი, როგორც მრჩევლის, თანამდებობის შესაბამისი გამოცდილება. თუმცა, მათი აღჭურვილობა არასაკმარისია იმისათვის, რომ ეფექტიანი დახმარება გაუწიონ პრემიერ-მინისტრის მოადგილეებს ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტისას. ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მათი, კომუნისტური პერიოდისაგან მემკვიდრეობით მიღებული კადრები ვერ უპასუხებენ დარგობრივი პოლიტიკის მაღალი დონის მრჩეველი ერთეულის მოთხოვნებს.

სახელმწიფო კომისიის სამდივნო ერთეულები

4.9 მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურა შეიცავს სამ სახელმწიფო კომისიას, რომელიც მცირე სამდივნო ერთეულებს ეყრდნობა:

— ეკონომიკური სტრუქტურის სახელმწიფო კომისია, პრემიერ მინისტრის თავმჯდომარეობით, რომელიც განიხილავს საზოგადოებრივი სამსახურის ორგანიზებასა და კადრებით დაკომპლექტებას;

— ეკონომიკურ რეფორმასთან დაკავშირებული საკითხების სახელმწიფო კომისია, პრემიერ-მინისტრის მოადგილის (ეკონომიკის დარგში)[6] თავმჯდომარეობით, რომელიც განიხილავს ეკონომიკასთან დაკავშირებულ საკითხებს მინისტრთა კაბინეტის სრული შემადგენლობისათვის მათი გადაცემის წინ;

— ახლად შექმნილი საერთაშორისო ფინანსურ და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის კომისია პრემიერ-მინისტრის მოადგილის (ეკონომიკის დარგში)[7] თავმჯდომარეობით.

4.10 საერთაშორისო ფინანსურ და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის კომისიის სამდივნო ამავდროულად მოქმედებს, როგორც მთავრობის დახმარების საკოორდინაციო ერთეული. იგი დაკომპლექტდა მინისტრთა კაბინეტის კადრების გარეშე და ეყრდნობა UNDP-ის მიერ მოწვეული მრჩევლის დახმარებას. შესაძლოა, მიღწეულ იქნეს მსგავსი შეთანხმება ეკონომიკურ რეფორმასთან დაკავშირებული საკითხების სახელმწიფო კომისიის სამდივნოს ფარგლებში ეკონომიკური პოლიტიკის ერთეულის ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც. ამ ერთეულს ტექნიკურ დახმარებას გაუწევდა მინისტრთა კაბინეტში არსებული, USAID-ის (აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო) მიერ დაფინანსებული მრჩეველი მაკროეკონომიკის დარგში და მრჩეველი დარგობრივი პოლიტიკის დარგში, რომელიც მოწვეულია ნიდერლანდების მთავრობის მიერ გაწეული ტექნიკური დახმარების საშუალებით.

საზოგადოებრივი ადმინისტრაციის მართვა

4.11 მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელია საზოგადოებრივი სამსახურის მართვის გამო. ეს გამოიხატება ჯერ ერთი, ეკონომიკური სტრუქტურის კომისიის მინისტრთა კაბინეტის ფარგლებში არსებობით და მეორეც, მინისტრთა კაბინეტისადმი წარდგენილი მოთხოვნით, დაამტკიცოს სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო ორგანოების საორგანიზაციო სტრუქტურისა და შტატების ჩამოყალიბება. თუმცა, ამჟამად, მინისტრთა კაბინეტის აპარატი არ ასრულებს აქტიურ როლს რეფორმისადმი მხარდაჭერისა და საზოგადოებრივი ადმინისტრაციის მართვის გაძლიერების თვალსაზრისით.

დასკვნები და რეკომენდაციები

4.12. ზემოთ მოყვანილ ნაწილებში შემოთავაზებული წინადადებები ითვალისწინებს სამთავრობო ორგანოების მთელი სტრუქტურის რაციონალიზაციასა და პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებაში სამინისტროების როლის გაზრდას. ამ წინადადებების განხორციელებას უნდა მოჰყვეს პრემიერ-მინისტრის მოადგილეებისა და მინისტრთა კაბინეტის აპარატის დღევანდელი ფუნქციების მნიშვნელოვანი შემცირება. ამის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია, რომ:

— შეიცვალოს პრემიერ-მინისტრის მოადგილეების დანიშნულება. მათ პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლების როლი უფრო უნდა ეკისრებოდეთ, ვიდრე სხვა სამინისტროების ზედამხედველებისა. ეს ითხოვს პრემიერ-მინისტრის მოადგილეების რაოდენობის შემცირებას ერთ ან ორამდე და იმის გარკვევას, იარსებებს თუ არა ეს თანამდებობა დამოუკიდებლად მინისტრთა კაბინეტის ფარგლებში (როგორც ამჟამად), თუ მას დაიკავებს რომელიმე ხელმძღვანელი სამინისტრო პორტფელის მფლობელი (მაგ.: ფინანსთა მინისტრი ან ეკონომიკის მინისტრი).

— მოხდეს მინისტრთა კაბინეტის აპარატის რეკონსტრუქცია, რათა პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებათა მიღების გამო ძირითადად სამინისტროებს გადაეცეთ. მათი როლი შეიცვლება და ყურადღება გამახვილდება ბირთვულ ფუნქციებზე, როგორიც არის სამთავრობო საქმიანობის კოორდინირება, მინისტრთა კაბინეტის სამსახური და საზოგადოებრივი ადმინისტრაციის მართვის მეთვალყურეობა. ეს იძლევა შტატების საგრძნობი შემცირების შესაძლებლობას.

— მინისტრთა კაბინეტში არსებულმა დარგობრივმა განყოფილებებმა უნდა დაკარგონ თავისი პოლიტიკური როლი. მათ ნაცვლად პრემიერ-მინისტრი და მისი მოადგილეები (თუ ეს თანამდებობები მინისტრთა კაბინეტის ფარგლებში რჩება) უნდა ეყრდნობოდნენ პოლიტიკის რჩევისა და ანალიზის მაღალი დონის მცირე ერთეულებს.

— მინისტრთა კაბინეტის აპარატში მიზანშეწონილია შეიქმნას საზოგადოებრივი სამსახურის ხელმძღვანელის დამოუკიდებელი ოფისი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სამთავრობო ორგანოების რეფორმისა და საზოგადოებრივი ადმინისტრირების მართვის შესაძლებლობების განვითარების მეთვალყურეობისათვის.

5. ფინანსებისა და ეკონომიკის მართვის სამსახური

შესავალი

5.1. ფინანსებისა და ეკონომიკის მართვის არსებული ინსტიტუტების სტრუქტურა მეტად სუსტია. ამ ფუნქციათა შემსრულებელი ორივე ჯგუფი კრიტიკულად არის განწყობილი მთავრობის ცდებისადმი გაზარდოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, დაგეგმოს და განახორციელოს ეკონომიკური რეფორმები და მიაღწიოს ეკონომიკის თანამიმდევრულ ზრდას. ამგვარად, ამ სფეროებში ძლიერი ინსტიტუტების შექმნას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება.

5. 2. გამოკვლევაში განხილულია აუცილებელი მოთხოვნები: I) ფინანსთა სამინისტროს რეფორმა და სტრუქტურის შეცვლა; II) ეკონომიკის სამინისტროს რეფორმის ჩატარება (მთავრობის ძირითადი ეკონომიკური სამსახური); III) საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტის მომავალი როლის განსაზღვრა; IV) დარგობრივ სამინისტროებში ეკონომიკური პოლიტიკის ერთეულების ჩამოყალიბება და V) შეძლებისდაგვარად მთავრობის ეკონომიკური სამსახურის წარსადგენად.

ფინანსთა სამინისტრო

5.3. ამჟამად ფინანსთა სამინისტრო შედგება 22 განყოფილებისაგან, რომელთაც მინისტრის ექვსი მოადგილე ხელმძღვანელობს. სამინისტროს ხელმძღვანელობა სულ 260 საშტატო ერთეულისაგან შედგება. ამ ორგანიზაციის შიდა სტრუქტურას ახასიათებს:

— ტრადიციული ფუნქციები, წარმოდგენილი ხუთი დარგობრივი ფინანსური განყოფილებით, რომლებიც სამთავრობო ფინანსებს ანაწილებენ როგორც საწარმოებზე, ისე სამინისტროებზე;

— ბირთვული ფუნქციები, წარმოდგენილი საბიუჯეტო, სახაზინო, საგადასახადო პოლიტიკისა და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშების განყოფილებები; ყველა ეს განყოფილება ან ყალიბდება, ან რეკონსტრუქციას განიცდის.

5.4. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილების ფუნქციები ემთხვევა ეკონომიკის სამინისტროს, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტისა და მინისტრთა კაბინეტის მსგავსი განყოფილებების ფუნქციებს. ძირითადი შემოსავლის სააგენტოები, საბაჟო დეპარტამენტი და საგადასახადო ინსპექცია ანგარიშვალდებულნი არიან უშუალოდ მინისტრთა კაბინეტის წინაშე და არ ექვემდებარებიან ფინანსთა სამინისტროს პირდაპირ კონტროლს.

5.5. ფინანსთა სამინისტრო ცდილობს თავისი საორგანიზაციო სტრუქტურის შეცვლას და ამისათვის კიდეც ღებულობს გარკვეულ ტექნიკურ დახმარებას მსოფლიოს სავალუტო ფონდისაგან. **ძირითადი მოთხოვნაა, ჩამოყალიბდეს ან გაძლიერდეს განყოფილებანი დაკავშირებული ბიუჯეტის, ხაზინის, საბუღალტრო აღრიცხვისა და სესხის მართვასთან და განახლდეს ფუნქციები. საგადასახადო და საბაჟო პასუხისმგებელი პირების უკიდურესი სისუსტე გვაფიქრებინებს, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ისინი ფინანსთა სამინისტროს უშუალო კონტროლს დაექვემდებარონ. ეს ხელს შეუწყობდა წლიურ შემოსავალსა და გასავალს შორის ურთიერთკავშირის განმტკიცებას.**

5.6. ფინანსთა სამინისტრომ გამოთქვა, აგრეთვე, დაინტერესება სამინისტროში ჩამოყალიბებულიყო მაკროეკონომიკისა და ფინანსური პოლიტიკის ანალიზის ინსტიტუტი თუმცა, ეს გამოიწვევდა ეკონომიკის სამინისტროს არსებული მანდატის ძირითადი ფუნქციის დუბლირებას და აიძულებს მთავრობას თავისი ძირითადი ეკონომიკური სამსახური ფინანსთა სამინისტროს დაუკავშიროს.

ეკონომიკის სამინისტრო

5.7. ეკონომიკის სამინისტროს მთელი შტატი დაახლოებით 150 საშტატო ერთეულისაგან შედგება, მათგან, 120 დასაქმებულია 13 პროფესიულ განყოფილებაში, დანარჩენები კი — სამ დამხმარე ადმინისტრაციულ განყოფილებაში. პროფესიულ დეპარტამენტებს გააჩნიათ 34 ქვე-ერთეული ანუ სექცია. ამათგან ბევრის სახელწოდება, როგორც მაგალითად, ფასების განყოფილებისა, მატერიალური რესურსებისა და საბალანსო განყოფილებისა ასახავს სამინისტროს ყოფილ ფუნქციას შეიმუშავებინა ცენტრალური გეგმა. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, სამინისტროს როლი ხშირად იმეორებს ან ემთხვევა სხვა დარგობრივი სამინისტროების პოლიტიკურ და საპროგრამო როლს. ეკონომიკის სამინისტროს ახლანდელი კადრები მეტად სუსტია. **გაურკვეველია სამინისტროს როლი ეკონომიკური რეფორმის პროცესში.**

5.8. ქვემოთ მოყვანილია სამინისტროს შტატების მნიშვნელოვანი შემცირების გეგმა. ყურადღება გამახვილებულია მაკროეკონომიკის გაშუქებისა და პოლიტიკის ანალიზის ძირითად ფუნქციებსა და მთავრობის დარგობრივი პოლიტიკისა და პროგრამების სრულ კოორდინაციაზე. ეკონომიკის პოლიტიკასთან და ანალიზთან დაკავშირებული ეკონომიკის სამინისტროს ბევრი სპეციფიკური დარგობრივი ფუნქცია შეიძლება გადაეცეს დარგობრივი სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის ერთეულს (იხ. ქვემოთ), რის შედეგადაც დარგობრივი პოლიტიკისა და პროგრამის კოორდინირების მხოლოდ ერთი ერთეული იქნება პასუხისმგებელი ეკონომიკის ყველა სექტორში სამთავრობო პოლიტიკისა და პროგრამის განვითარების ზედამხედველობისათვის.

5.9. სტრუქტურული დეფიციტი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ეკონომისტების ნაკლებობა და დარგობრივი სამინისტროებისათვის დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციების გადაცემის აუცილებლობა სასწრაფოდ ითხოვს ეკონომიკის სამინისტროს გადაუდებელ რეფორმასა და რაციონალიზაციას, ყურადღება **უნდა გამახვილდეს ძირითად ფუნქციებზე: (მაკროეკონომიკის გაშუქება და პოლიტიკის ანალიზი; II) ფინანსური და სავალუტო პოლიტიკის ანალიზი; III) დარგობრივი პოლიტიკისა და პროგრამის კოორდინირება. საწყის ეტაპზე შტატი უნდა დაკომპლექტდეს არა უმეტეს 30-40 პროფესიონალისაგან, შესაძლოა ნაკლებიც, თუ გავითვალისწინებთ შესაბამისად კვალიფიცირებული კადრების შერჩევასთან და მოწვევასთან დაკავშირებულ სიძნელეებს შტატების შერჩევის ამ ეტაპზე აუცილებელია მკაცრი ადმინისტრაციული დახაზულება ეკონომიკის სამინისტროს ფინანსთა სამინისტროსაგან გამიჯნავად.** ეს ხელს შეუწყობს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკისა და ფინანსთა მართვის ფუნქციებს შორის კავშირის განმტკიცებას. ამასთან, ასახავს დასავლეთის ქვეყნების უმეტესობაში გავრცელებულ პრაქტიკას, როდესაც ეს ორი პორტფელი გაერთიანებულია.

5.10. მას შემდეგ, რაც შეიცვლება ფინანსთა სამინისტროსა და ძირითადი ეკონომიკური სამსახურის სტრუქტურა, დახმარების კოორდინირებისათვის პასუხისმგებლობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, რესურსების განლაგებასა და მართვის ფუნქციით გამოიხატება, შევა მის მანდატში.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტი

5. 11. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტის მანდატი ორ გარკვეულ როლს მოიცავს: 1) დარგობრივი საწარმოო როლი, რომელიც გულისხმობს სავაჭრო ობიექტების შერჩევასა და პირდაპირი საგარეო ინვესტიციების წახალისებას; და 2) სამთავრობო რესურსების მართვის ფუნქცია, რომელიც დაკავშირებულია დახმარების მართვასთან და მთავრობის საინვესტიციო პროექტების მომზადებასა და განხორციელებასთან.

5.12. პასუხისმგებლობა ამ ორი როლის გამო შემდგომში უნდა განცალკევდეს, დახმარების კოორდინირების ფუნქცია უკვე თანდათან ჩამოერთვა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტს და ნაწილობრივ მაინც გადაეცა მინისტრთა კაბინეტს. საზოგადოებრივი ინვესტიციების პროექტის მომზადებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული ფუნქციები მომავალში განაწილდება გაძლიერებულ მთავრობის ეკონომიკის სამსახურსა და დარგობრივი სამინისტროების ეკონომიკური პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების ერთეულებს შორის.

5.13. შემდეგ განყოფილებაში განხილული იქნება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობათა კომიტეტის როლი სავაჭრო ობიექტების შერჩევისა და საწარმოო ინვესტიციების წახალისების თვალსაზრისით.

დარგობრივი სამინისტროს პოლიტიკისა და პროგრამის შემუშავების ერთეული

5.14. როგორც უკვე აღინიშნა, დარგობრივი სამინისტროები ამჟამად განიცდიან ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების ყოველგვარი შესაძლებლობების ნაკლებობას. აუცილებელია ამ უნარის განვითარება. რათა შესაძლებელი გახდეს ეკონომიკის თითოეულ ძირითადი სექტორის პოლიტიკისა და პროგრამის განვითარებისათვის მხარის დაჭერა[8]. ძირითადი ფუნქციები ამ ერთეულებისა, რომლებიც თავიდან შესაძლოა 3-5 საშტატო ერთეულს საჭიროებდეს, იქნება:

— დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ანალიზი;

— მთავრობის ინვესტიცირებისა და ხარჯების სექტორებისათვის გათვალისწინებული პროგრამის დაგეგმვა და გაკონტროლება;

— სექტორისათვის მიწოდებული დამხმარე რესურსების მართვა.

მთავრობის ეკონომიკური სამსახურის ჩამოყალიბება

5.15. მიზანშეწონილია, რომ მთავრობამ ჩამოაყალიბოს ეკონომიკური სამსახური[9], რომელიც გააერთიანებს მთავრობის ეკონომიკის სამმართველოსა და დარგობრივი სამინისტროების ეკონომისტებს. ეს სამსახური დაეხმარება მთავრობის სხვადასხვა განყოფილებებში დასაქმებულ ეკონომისტთა შორის პროფესიული კავშირების დამყარებას და მოამზადებს საფუძველს ორგანიზებული ტრენინგის, სამუშაო პრაქტიკისა და პროცედურების განვითარებისათვის.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

---

[1] წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია მსოფლიო ბანკის კონსულტანტის (ენდრიუ ბერდის) მიერ 1994 წლის 27 ივნისიდან 9 ივლისის ჩათვლით ჩატარებული გამოკვლევა. აქ გამოთქმულია მხოლოდ კონსულტანტის აზრი და არ შეიძლება მისი გაიგივება მსოფლიო ბანკის და საქართველოს მთავრობის პოზიციებთან.

[2] თუმცა, სახელმწიფოს მეთაურსაც და მთავრობასაც აქვთ უფლება გასცენ ბრძანებები.

[3] თუმცა, განსაკუთრებული შემთხვევების ეკონომიკური საბჭო ყოველთვიურად უნდა შეკრებილიყო, 1994 წლის პირველი კვარტალის შემდეგ იგი არ შეკრებილა.

[4] 1993 წლის ბოლომდე სამთავრობო საქმიანობის კოორდინირებას ახორციელებდა მინისტრთა საბჭო, რომელიც წარმოდგენილი იყო პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეებისა და ხელმძღვანელი მინისტრების მცირე ჯგუფის სახით. მისი მინისტრთა კაბინეტად ჩამოყალიბება დაკავშირებული იყო პარლამენტის სურვილთან მთავრობის მინისტრები უფრო ფართოდ ჩაბმულიყვნენ სამთავრობო საქმიანობის მართვაში.

[5] მაგალითად, აგვიხსნეს, რომ სახელმწიფოს მეთაურის აპარატის უბრალო მოთხოვნა, მიეწოდოს ინფორმაცია რომელიმე სექტორის შესახებ, ჯერ გადაეცემა მინისტრთა კაბინეტის სამდივნოს, რომელიც თავის მხრივ, მოთხოვნას შესაბამის სამინისტროს გადასცემს, სამინისტროს პასუხი ამავე გზას გაივლის, რასაც ხშირად ორი თვეც კი სჭირდება.

[6] კომისია 20 წევრისაგან შედგება. ესენია: ეკონომიკის, ფინანსთა, სახელმწიფო ქონების მართვის, იუსტიციის, ვაჭრობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროები; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი; საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტების თავმჯდომარეები; პარლამენტის ეკონომიკური კომისიისა და პარლამენტის ფინანსებისა და ბიუჯეტის კომისიის თავმჯდომარე; უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოსა და კონტროლის პალატის თავმჯდომარე; საგადასახადო ადმინისტრაციისა და საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელები და სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მრჩეველი ეკონომიკის დარგში.

[7] კომისია რვა წევრისაგან შედგება. ესენია: ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მრჩეველი.

[8] სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს რეორგანიზაციის პროექტი ამ სამინისტროში ეკონომიკური პოლიტიკის ერთეულის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ წინადადებას შეიცავს.

[9] როგორც ეს შემოთავაზებული იყო სახელმწიფოს მეთაურის აპარატთან TACIS/EES-მიერ შექმნილი პოლიტიკური მრჩევლის ერთეულის მიერ.

ინფორმაცია

მედიცინის მეცნიერებათა აკადემიაში

ამ დღეებში საქართველოს რესპუბლიკის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა საგანგებო სხდომა. კონკურსის წესით სპეციალობების მიხედვით აკადემიის წევრებად აირჩიეს: „კანისა და ვენერიული სნეულებანი" — პროფესორი დავით საყვარელიძე; „სამედიცინო რადიოლოგია" — პროფესორი კონსტანტინე გიორგაძე; „ჰემატოლოგია და ტრანსფუზიოლოგია" — პროფესორი ავთანდილ აბესაძე; „პედიატრია" — პროფესორი ნოდარ ხერხეულიძე, „ტოქსიკოლოგია" — პროფესორი ვერა ვაშაკიძე; „ენდოკრინოლოგია" — პროფესორი ვაჟა ივერიელი, „სამედიცინო ეკოლოგია" — პროფესორი გივი კვანჭახაძე; „რენტგენოლოგია" — პროფესორი ფრიდონ თოდუა.

„შოთაობა" იყალთოში

უამინდობის მიუხედავად, სახალხო დღესასწაულს „შოთაობას" უამრავი ხალხი დაესწრო, რომელიც უძველესი იყალთოს აკადემიის კედლებში შეიკრიბა, სადაც გადმოცემით სწავლობდა შოთა.

დღესასწაული გახსნა მისმა ინიციატორმა და უცვლელმა ორგანიზატორმა, თავისი მამულის ჭეშმარიტმა პატრიოტმა, შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო აკადემიის რექტორმა, რესპუბლიკის კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა გიორგი შათირიშვილმა. რუსთაველის შემოქმედების, ქართულ ლიტერატურაში მისი ფასდაუდებელი წვლილის შესახებ ილაპარაკეს საქართველოს კულტურის მინისტრმა დავით მაღრაძემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ალბერტ თავხელიძემ, პოეტებმა მიხეილ ქვლივიძემ, რომელმაც წაიკითხა რუსთაველისადმი მიძღვნილი თავისი ლექსი და შოთა ხოდაშნელმა, რუსთაველის პოეზიის მოყვარულთა კლუბის თავმჯდომარემ, ვინც მისი პოემა ზეპირად იცის. გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, იყალთოს საპატიო მოქალაქე ანდრია აფაქიძე, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი, თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, იყალთოს საპატიო მოქალაქე როინ მეტრეველი და სხვები.

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე აირჩიეს იყალთოს საპატიო მოქალაქეებად.

სახელმწიფოს მეთაურისა და რესპუბლიკის მთავრობის დავალებით დავით მაღრაძემ გიორგი შათირიშვილს ღირსების ორდენი გადასცა.

გაიმართა ფონდის „რუსთაველის ნაკვალევზე" პრეზენტაცია. მის თავმჯდომარედ არჩეულია თელავის გამგეობის თავმჯდომარე დავით ზავანელი.

გიორგი ბაცრაშვილი.
საქინფორმის კორ.

მოკლეს უშიშროების სამსახურის გამომძიებელი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, თბილისში, თავის საცხოვრებელ ბინაში — თოიძის ქუჩა, ნომერი 86, დაჭრეს საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის გამომძიებელი, უფროსი ლეიტენანტი არჩილ მარკოზაშვილი. იგი ქალაქის პირველ საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

საქმეს იძიებს ჩუღურეთის რაიპროკურატურა.

გთავაზობთ!
საწერ, საბეჭდ,
ქსეროქსის, პრინტერის,
სარედაქციო პერგამენტის
და ფინური წარმოების
სატიტულე ბლანკების
ქაღალდს
ადგილზე მიწოდებით.
ანგარიშსწორება,
როგორც ნაღდზე, ასევე
გადარიცხვით
☎ 38-91-64

სურათებზე: მარცხნივ — უკრავს ტრიო „საუნჯე"; ქვემოთ — კონცერტის ყველაზე პატარა მონაწილე — 8 წლის მარიამ როინიშვილი; ცენტრში — მარათონის წამყვანი ირმა სოხაძე; კიდევ 100000 მანეთი; მარჯვნივ ანსამბლ „შეჯიბრების" სოლისტი ციცინო იაშვილი, რომელმაც შემოსწირა 30.000 მანეთი.
ავტორის ფოტო.

„ჩვენ ბავშვობიდან მოვედით"

თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ცნობილი ქართველი მომღერლის — ქალბატონ ირმა სოხაძის ინიციატივით უკვე მეხუთედ, წარმატებით გაიმართა ტელემარათონების კონცერტები.

პირველ ტელემარათონზე შემოსული მთელი თანხა ჩაირიცხა საქართველოს ბავშვთა ფონდის ანგარიშზე, ობოლ და მშობელთა ზრუნვას მოკლებული ბავშვებისა და ბავშვთა სახლების დასახმარებლად. ამის გარდა, მარათონზე შემოსული თანხით 60 ბავშვი გაიგზავნა გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების კლინიკებში სამკურნალოდ, ხოლო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ბავშვიან ოჯახებს დაურიგდათ თხუთმეტი მილიონი კუპონი. უკანასკნელი ტელემარათონის — „ჩვენ ბავშვობიდან მოვედით" — შემოსული თანხის ნაწილი გადაეცემა თბილისის ჰემატო-ონკოლოგიურ ცენტრს ბავშვთა სამკურნალოდ, მეორე ნაწილი კი აფხაზეთის ომის შედეგად დაობლებული ბავშვების დასახმარებლად.

ტელემარათონებს დიდი დახმარება გაუწიეს საზოგადოება „იმედმა", ახალგაზრდობის ფონდმა „მამულმა" და ფირმა ტმს-მ.

სიმონ კილაძე.

საშვილიშვილო საქმე

წმინდა სამების ტაძრის მშენებლობისათვის



ღვთის სადიდებლად და ჩვენი ხალხის რწმენის ასაღორძინებლად გადაწყვეტილია თბილისში აშენდეს წმინდა სამების საკათედრო ტაძარი. ყველას, ვისაც აქვს სურვილი და საშუალება მიიღოს მონაწილეობა ამ საშვილიშვილო საქმეში, შეუძლია თავისი შეწირულობები გადარიცხოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

სავალუტო ანგარიში

მიმღები (ბენეფიციარი): საქართველოს საპატრიარქოს ბანკი „საეკლესიო ბანკი"
მიმღების (ბენეფიციარის) ბანკი „საქბინსოცბანკი"
ანგარიშის ნომერი: ამერიკული დოლარი 700 165535/001
გერმანული მარკა 700 165535/002
რუსული რუბლი 700 165535/013
დანიშნულება: წმინდა სამების საპატრიარქო ტაძრის მშენებლობისათვის.

საკუპონე ანგარიში

მიმღები: საქართველოს საპატრიარქოს ბანკი „საეკლესიო ბანკი"
მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი
ანგარიშის ნომერი: 800161756, მფო 526636
დანიშნულება: წმინდა სამების საპატრიარქოს ტაძრის მშენებლობისათვის.

საბანკო რეკვიზიტებთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დარეკოთ ტელ.: 93-45-99, 98-74-71, ან მოგვმართოთ მისამართზე:

ქ. თბილისი, ერეკლე მე-2 მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს შენობა, 1-ლი სართული, ბანკი „საეკლესიო ბანკი".

სიცოცხლის ტოლი ცეკვა

ვერა წიგნაძის საიუბილეო საღამო

მსახიობისათვის არ არსებობს იმაზე მეტი ბედნიერება, ვიდრე ხალხის მიერ მისი ნიჭის აღიარება. 20 ოქტომბერს გამოჩენილი ქართველი ბალერინისა და შესანიშნავი პედაგოგის ვერა წიგნაძის ნიჭის მრავალმა თაყვანისმცემელმა პატივი მიაგო თავის კერპს. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული აკადემიური თეატრის სცენაზე, სადაც მან შექმნა გმირთა დაუვიწყარი სახეები, გაიმართა მსახიობის საიუბილეო საღამო.

ბალეტის მოყვარულთა არაერთი თაობა მოხიბლულა ვერა წიგნაძის ოსტატობით, იგი ხომ ლეგენდარულ ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად ცეკვავდა მთავარ საბალეტო პარტიებს მის მიერ დადგმულ სპექტაკლებში, და თუ შევეცდებით ყველა მათგანის ჩამოთვლას, ალბათ უნდა ჩამოვთვალოთ წლების განმავლობაში მსახიობის მიერ შესრულებული მთელი რეპერტუარი. ვერა წიგნაძე ამ სცენაზე ცეკვავდა სამოცდათიან წლებამდე, აქვე იყო ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ აღდგენილი კლასიკა — „ჟიზელი", „გედის ტბა", „დონ კიხოტი", „ბაიადერა" და კლასიკად ქცეული ბალეტები „ლაურენსია" და „წითელი ყაყაჩო", ასევე ახალი ბალეტებიც, რომლებიც ქართულ სცენაზე იშვა ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედებითი გენიით — გრიგოლ კილაძის „სინათლე", დავით თორაძის „გორდა", ალექსი მაჭავარიანის „ოტელო", სულხან ცინცაძის „დემონი"... ვერა წიგნაძის ცეკვა იყო ლირიკისა და დრამატიზმის ჰარმონია, მოძრაობის გაცისკროვნებული სილამაზე, ხაზების სინატიფე — ნარნარი, სიხარულით აღსავსე და მწუხარეც...

დღეს მთელ თავის უდიდეს სცენურ გამოცდილებასა და ცოდნას, ოსტატობის საიდუმლოებებს ვერა წიგნაძე უანგაროდ გადასცემს ბალერინათა ახალგაზრდა თაობას, ადასტურებს ჭეშმარიტებას, რომ ასაკი კი არა, საყვარელი საქმისადმი ერთგულება განსაზღვრავს მსახიობის მარადიულობას ბალეტში.

ყოველივე ეს ითქვა საღამოზე, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს სახალხო არტისტი კოტე მახარაძე.

მსახიობს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მაია კობახიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ეთერ გუგუშვილი, კოლეგები, იუბილარის მეგობრები.

იმ საღამოს ჟღერდა ვერა წიგნაძის საყვარელი ნაწარმოებები, მისმა აღზრდილებმა შეასრულეს ფრაგმენტები საბალეტო სპექტაკლებიდან.

— თუკი სიცოცხლეში არსებობს ნამდვილი ყოვლისმომცველი ბედნიერების წუთები, სწორედ ასეთი ადამიანია თქვენს წინაშე, — თქვა ქალბატონმა ვერამ, როცა უპასუხა ოვაციებს, ყვავილებსა და მისალმებებს, რომლებიც არ დაიშურეს მისი ტალანტის თაყვანისმცემლებმა.

„კაქტუსი" სუპერლიგაში — პირველი ნაბიჯები

თბილისის კალათბურთელ ვაჟთა პოპულარული კლუბი — „კაქტუსი" ერთაშორისო პროფესიული ლიგის მესამე გათამაშებაში ჩაება. გთავაზობთ სასტარტო შეხვედრების ტექნიკურ შედეგებს: ტალინი. 11 ოქტომბერი. „კალევი" (ტალინი) — „კაქტუსი" 98:80 (49:40). 12 ოქტომბერი. „ბროცენი" (რიგა) — „კაქტუსი" 101:90 (56:57). მოსკოვი. 18 ოქტომბერი. ცსკა (მოსკოვი) — „კაქტუსი" 92:56 (48:35). 19 ოქტომბერი. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „კაქტუსი" 97:85 (58:30).

ესტონეთის დედაქალაქში ქართველმა სპორტსმენებმა ორი განსხვავებული მატჩი გამართეს. თუ სუპერლიგის ორგზის ჩემპიონმა ადგილობრივმა „კალევმა" ასპარეზობის დებიუტანტებს დამაჯერებლად სძლია, არანაკლებ მრისხანე — ლატვიელ მეტოქეებს თბილისელებმა ნამდვილი „ომი" გაუმართეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, პირველი ტაიმი მოუგეს კიდეც. პაექრობის ბედი ბალტიისპირელთა სასარგებლოდ მხოლოდ თამაშის მიწურულს გადაწყდა. ბრძოლის სიმძაფრეზე ისიც მეტყველებს, რომ რიგელთა ლიდერებმა — ვეტრამ და მუიჟნიეკსმა დასასვენებლად საერთოდ ვერ მოიცალეს და მოედანზე 40-40 წუთი დაჰყვეს.

მსგავსი სცენარით წარიმართა მოსკოვური ორთაბრძოლებიც. მართალია, წლევანდელი ტურნირის ლიდერებთან — არმიელებთან შეხვედრა თანაბრად დაიწყო (მეშვიდე წუთზე ანგარიში საყაიმო იყო — 17:17), მაგრამ შემდეგ მასპინძელთა უპირატესობა აშკარა გახდა და მათ არ გასჭირვებიათ იოლი გამარჯვების მოპოვება. მოსკოველთაგან შედეგიანობით გამოირჩეოდა კარასიოვი. თბილისელები წარმატებასთან ახლოს იყვნენ. მეორე დღეს ადგილობრივ სპარტაკელებთან, როცა შესვენების შემდეგ 5-5 პერსონალური შენიშვნა მიიღებინეს ამერიკულ ტანდემს და პირველი ტაიმის 23-ქულიანი დეფიციტი მინიმუმამდე დაიყვანეს (80:85 საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე), მაგრამ... „სპარტაკის" შემადგენლობაში კვლავ ვიხილეთ ცნობილი სნაიპერი — ცსკა-ს ყოფილი ბომბარდირი ალექსანდრე გუსევი და, უნდა ითქვას, ვეტერანი კლასითა და ზუსტი ტყორცნებით ბევრს დღესაც აღემატება.

პირველ შთაბეჭდილებებზე და არა მარტო მათზე, გვესაუბრება „კაქტუსის" მთავარი მწვრთნელი **თამაზ ოქრუაშვილი:**

— ეს ტურნირი გახლავთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების გუნდებისათვის პროფესიონალური ლიგის შექმნის მცდელობა. ჯერჯერობით ორგანიზატორებს მრავალი პრობლემა აქვთ, მაგრამ იდეა, თავისთავად, მომხიბვლელია და ყურადღებას იმსახურებს. ვთვლი, რომ საქმიანობის სწორად წარმართვის შემთხვევაში ამ შეჯიბრებას ბრწყინვალე მომავალი ექნება.

რაც შეეხება დამარცხებებს, გულახდილად გეტყვით, რომ სხვა შედეგს არც ველოდით და ამას არც ვმალავდით, თუმცა, ნათელი წერტილებიც იყო (მაგალითად, პირველი ტაიმი რიგელებთან). უნდა ვირწმუნოთ, რომ ამიერიდან საქმე გვექნება ჭეშმარიტ პროფესიულ გუნდებთან მთელი თავისი ატრიბუტებით (ნაყიდი ოკეანისგაღმელი ოსტატები, მომზადების მაღალი დონე, მოთამაშეთა და მწვრთნელთა ფანტასტიკური ანაზღაურება...). ასე რომ, ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შევუყვეთ ამ ძნელ გზას და მაქსიმალურად გავისარჯოთ ყველასათვის ღირსეული მეტოქეობის გასაწევად. ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია მატერიალური ბაზა და ნორმალური სავარჯიშო პირობები. ამით არავისგან არაფერს არ მოვითხოვთ. შევეცდებით, ჩვენი შრომით გავიუმჯობესოთ პირობები. საამისოდ თუნდაც მაყურებელთა მოზიდვა რად ღირს იმ თამაშებზე, რომლებიც, შესაძლოა, თბილისში გაიმართოს. ტალინში ერთი ბილეთი 3,5 დოლარი ღირდა. ჩვენთან, დავუშვათ, 1000 მანეთიც რომ იყოს ფასი, ესეც რაღაცას ნიშნავს. რაკი ფინანსური მხარე ვახსენე, აქვე დავძენ, რომ ერთაშორის საკალათბურთო პროფესიულ ლიგაში „კაქტუსის" გასაწევრიანებლად საჭირო 20000 დოლარის გადახდას ერთ-ერთი მოსკოვური ფირმა გვპირდება. ალბათ, მკითხველთათვის საინტერესო იქნება ეს ცნობა: ბოლო ადგილზე გასული გუნდი 22000 დოლარს მიიღებს!

— ტურნირის დებულების თაობაზე რას გვეტყვით?

— მონაწილე კლუბების გადატვირთული კალენდრის გამო (ეროვნული ჩემპიონატები, ევროტურნირები, კონტინენტის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები) იგი გადასახედია. ისე, ჩვენთვის ეს სისტემა მომგებიანია. ვინაიდან უკანასკნელი ადგილის დაკავებაც კი „პლეი-ოფში" თამაშის გაგრძელების შესაძლებლობას იძლევა და საბოლოოდ პირველობის მოპოვების შანსსაც გვინარჩუნებს.

— წარუმატებელი სტარტის მიუხედავად, ვინ მიგაჩნიათ გამოყოფის ღირსად? რით ახსნით ამ წაგებებს?

— მოკლედ შევაფასებ „კაქტუსის" წამყვან კალათბურთელთა თამაშს. დაცვაში ძალზე მობილური იყო ჩხეიძე, შეტევაში კი მისი ოსტატობა დასახვეწია. არათანაბრად იასპარეზეს ბერძენიშვილმა და ნაცვლიშვილმა. მაგალითად, ამ უკანასკნელმა „კალევთან" 5 საჯარიმოს გამო მხოლოდ 14 წუთი დაჰყო მოედანზე, ხოლო „ბროცენისთან" ორივე მშვენივრად გამოვიდა. აღსანიშნავია, ქლენტის თანაბარი თამაში, რაც გარკვეულ იმედებს გვაძლევს საიმისოდ, რომ მისგან კარგი ოსტატი გაიზრდება. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის მოწვეული „ვეტერანების" — შენგელიასა და თორთლაძის მიმართ. სამწუხაროდ, ტრავმის გამო კახა „სპარტაკთან" ვერ დაგვეხმარა. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი შემადგენლობით ერთი საკონტროლო შეხვედრის გამართვაც ვერ მოვახერხეთ, თანაც, მოსკოვში შესამჩნევად დაგვეტყო გადაადგილების სირთულეებითა და სამშობლოდან ერთკვირიანი მოწყვეტით გამოწვეული დაღლილობა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ძირფესვიანად უნდა შევცვალოთ სავარჯიშო პროცესი და, საერთოდ, მიდგომა კალათბურთისადმი, სხვა მოთხოვნები უნდა წავუყენოთ საკუთარ თავს სპორტსმენებმაც და მწვრთნელებმაც. ამ შემთხვევაში გულშემატკივრებს ნაკლებად გავაწბილებთ და, შესაძლოა, კარგი თამაშით სიამოვნებაც მივანიჭოთ.

— პარალელს ხომ არ გაავლებდით საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატსა და სუპერლიგას შორის?

— შედარებაც კი არ შეიძლება. ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი შემადგენლობის სიძლიერითა და რანგით ძალიან ჩამორჩება ერთაშორის საკალათბურთო პროფესიულ ლიგას. ძლიერი გუნდების დეფიციტის გამო სერიოზული თამაშების რაოდენობაც ნაკლებია (სეზონში საშუალოდ 70 მატჩი მაინც უნდა გავმართოთ). დაძაბული ორთაბრძოლები წამყვან კლუბებს განვლილ ეროვნულ ჩემპიონატში თითზე ჩამოსათვლელი ჰქონდათ, ხოლო ის მატჩები, რომლებშიც გამარჯვებულის უპირატესობა 30-40 ქულას აღწევს, მოთამაშეთა ზრდასა და დაოსტატებაზე უარყოფითად უფრო მოქმედებს. სასურველია ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმაც სცადოს ძალები სუპერლიგის მსგავს შეჯიბრებაში. უამისოდ ძნელია სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი. წაგებები ნურავის შეაშინებს! ვიმეორებ, მალე შესაძლოა ჩვენს ქუჩაზეც მოვიდეს გაზაფხული.

— ორ ფრონტზე ბრძოლას როგორ მოახერხებთ?

— უნდა შევძლოთ. მაგალითად, ცსკა სამ ფრონტზე იბრძვის. რაც უფრო ძნელ ზღუდეებს დავისახავთ და დავძლევთ, მით უფრო მოვუმატებთ თამაშს.

— „კაქტუსის" უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვით?

— ცუდი ცხოვრების გამო კონკრეტულად ჯერ არაფერია დაზუსტებული, ისიც კი, თუ როდის გაიმართება სუპერლიგის მატჩები თბილისში.

დასასრულ, დავუმატებ, რომ საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვამ, ჩვენში არსებულმა საკალათბურთო სიწამდვილემ გადაჭარბებული წარმოდგენა შეგვიქმნა საკუთარ თავზე. ასეთი გასვლების დროს ვხვდებით, რომ არც ისე კარგად გვაქვს საქმე, როგორც ბევრს ჰგონია. დიდხანს და ძნელად დასაძლევი კრიზისის განვითარების აღსაკვეთად ყველა უბანზე რადიკალური ზომებია მისაღები. ამაზე ყველანი უნდა დავფიქრდეთ!

გია პლატონიშვილი.
„სრ" სპეც. კორ.
მოსკოვი-თბილისი.

მინაწერი: დიდი მადლობა სპონსორს — სააქციო საზოგადოება კორპორაცია „ამიკოს" პრეზიდენტს ბატონ ამირან ადეიშვილს და კლუბ „კაქტუსის" ხელმძღვანელობას, რომელთა ფინანსური დახმარებითაც მოხერხდა ჩემი მივლინება და მგზავრობა ორივე მიმართულებით.

რუსეთის დედაქალაქში შესაძლებლობა მომეცა დავსწრებოდი ფეხბურთელთა ევროტურნირების მორიგ მატჩებს — „დინამო" — „რეალი" და „სპარტაკი" — „ბაიერნი". გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: ჩემპიონთა ლიგა სულ სხვა ყოფილა! იმედია, მომავალ სეზონში ამაში ქართველი გულშემატკივრებიც დარწმუნდებიან.

გ. პ.

ჩოველი

კალათბურთელებიც იწყებენ

დღეს 18 საათზე ვერის ბაღის კეკელიძის სახელობის ბავშვთა საკალათბურთო კომპლექსში სტარტს აიღებს ვაჟთა მორიგი ეროვნული ჩემპიონატი. ტურნირის მონაწილე 12 გუნდი ორ ქვეჯგუფად არის დაყოფილი. ისინი შარშანდელი პირველობის დებულებით გაითამაშებენ საპრიზო ადგილებს.

●

ახალი ლიდერის დაბადება

ფეხბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატს მეცხრე ტურის შემდეგ ახალი ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს — „სამტრედიამ" კახა გოგიჩაიშვილის ბრწყინვალე გარღვევითა და გია ჯიშკარიანის ერთადერთი გოლით დედაქალაქში მოუგო „შევარდენს" და 22 ქულით დაწინაურდა.

გთავაზობთ იმავე დღის გამართული კიდევ რამდენიმე მატჩის შედეგს: — „დილა"-თბილისის „დინამო" 0:0 (დინამოელები 20 ქულით მეორე ადგილზე არიან), „მარგვეთი"-„კოლხეთი" 0:2, ბათუმის „დინამო"-„დურუჯი" 4:0 (გამარჯვებულები 18 ქულით სატურნირო ცხრილის მესამე საფეხურზე იმყოფებიან), „ივერია"-„კახეთი" 3:1.

მეათე ტურის შეხვედრები 28 ოქტომბერს გაიმართება.

●

„ქორები" თუ „ბასი"?

სპორტკომპლექს „იმედში" (ყოფილი „ბურევესტნიკი") დასასრულს მიუახლოვდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში. უკვე გამოვლინდნენ ტურნირის ფინალისტები. გადამწყვეტი შეხვედრების სერიაში მთავარი პრიზისათვის ითამაშებენ თბილისის „ქორები" და ზაღდათის „ბასი".

მეტოქეთა პირველი ფინალური მატჩი დღეს 13 საათზე დაიწყება.

ავთანდილ ჭკუასელის თასზე

ოთხ დღეს გრძელდებოდა საქართველოს სპორტის აკადემიის ფეხბურთის კათედრის მიერ ორგანიზებული ტურნირი მინიფეხბურთში ავთანდილ ჭკუასელის პრიზზე.

12 გუნდს შორის ფინალში ასპარეზობის უფლება „ქორებმა" (II კურსი) და „იბერიამ" (I კურსი) მოიპოვეს.

საკმაოდ საინტერესო და დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ 3:3, დამატებითი პენალტების სერიამ წარმატება (5:4) უფროსკურსელებს მოუტანა. გამარჯვებულებს საპატიო თასი, რომლის გათამაშება ამიერიდან ტრადიციული გახდება, გადასცა ავთანდილ ჭკუასელის შვილიშვილმა — ავთო ჭკუასელმა.

არჩილ მოხისელი.

სურათზე: ავთანდილ ჭკუასელი-უმცროსი საპატიო თასს გადასცემს „ქორების" კაპიტანს შალვა ლაცაბიძეს.
ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.

„არაგვი ბიზნეს ბანკი"
ფიზიკურ პირებს
სთავაზობს ახალი
სახის მომსახურებას
„არაგვი-ექსპრესის"
საშუალებით:
ნაღდი რუსული მანეთებისა
და აშშ დოლარების
სასწრაფო მიწოდებას
მოსკოვიდან თბილისში
და პირიქით.
თქვენ არ დაგჭირდებათ
ნაღდი ფულის ტარება —
ამას თქვენთვის გააკეთებს
„არაგვი ექსპრესი"
მინიმალური საკომისიო
გასამრჯელოთი.
ჩვენი ტელეფონებია:
37-44-51, 93-25-94 (ფაქსი)

რეკლამები დამზადებულია
ფირმა „დრონის"
კომპიუტერულ ცენტრში.
ტელ: 93-15-00

საქართველოს სახელით

მსოფლიო მოგზაურობის რეზონანსი

გავლილია 26 ქვეყანა

ჯუმბერ ლეჟავა, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, დედამიწის გარშემო ყველა ქვეყნისა და დედაქალაქის გავლით ველოსიპედით მარტოდმარტო მოგზაური, 19 ოქტომბერს ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკიდან შეგვეხმიანა.

ქართველმა მოგზაურმა აღნიშნა, რომ ბოლო 20 დღეში გაიარა ბანგლადეში, ბირმა და ტაილანდი, სამივე ქვეყანაში მას კარგად შეხვდნენ. საგულისხმოა, რომ ბირმაში სწავლულებმა კეთილად მოიგონეს სახელოვანი ქართველი დიპლომატი და ვაჭარი რაფიელ დანიბეგაშვილი, რომელმაც 1795-1827 წლებში ხუთგზის იმოგზაურა ინდოეთში, ბირმასა და აზიის სხვა ქვეყნებში. ხოლო ტაილანდში გაიცნეს იქ მოღვაწე ქართველი ინჟინერი დავით გახოკიძე, რომელმაც არაჩვეულებრივი გულისხმიერება გამოიჩინა.

მოგზაური თავს კარგად გრძნობს. დღემდე სულ გავლილია 26 ქვეყანა. 42 ათასი კილომეტრი. ამჟამად ინდოჩინეთის სხვა ქვეყნების — კამბოჯა, ლაოსი, ვიეტნამი — შემოვლა აქვს გადაწყვეტილი, რის შემდეგაც მალაიზია-სინგაპურის გავლით კურსს ინდონეზია-ავსტრალიისაკენ აიღებს. ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობის პროგრამა წარმატებით ხორციელდება. ამის დასტურია მასპინძელი ქვეყნების მოსახლეობის მხურვალე შეხვედრები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დიდი რეზონანსი.

ქართველი მოგზაური განსაკუთრებით მადლიერია რუსეთის ფედერაციის საელჩოებისა და კულტურის ცენტრებისა. მოგზაურობის პროგრამის ხელმძღვანელი საგამომგონებლო-სამეცნიერო ფირმა „თემურ მაისურაძე" და მსოფლიო მოგზაურობის სააგენტო მათ ამისათვის მადლობას უხდიან.

ვსარგებლობთ შემთხვევით და დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს ვაუწყებთ, რომ ღირსეულ მეცენატს ელოდება ამ მოგზაურობისადმი მიძღვნილი მსოფლიოში გასავრცელებელი ინგლისურენოვანი სარეკლამო-საინფორმაციო კრებული „საქართველოდან ავსტრალიამდე", გაზეთი „მსოფლიო მოგზაური", ჯუმბერ ლეჟავას მიერ შემუშავებული სამკურნალო ვარჯიშის სახელმძღვანელო: „ჯანმრთელობა — სულისა და სხეულის ჰარმონია" და ორი ტომი, რომელშიც აისახება 24 ქვეყნის თავგადასავალი — ქართველი კაცის ნანახი, მოსმენილი, განცდილი და გადატანილი.

ჩვენი საკონტაქტო ტელეფონებია: 23-21-26, 61-53-10, 95-17-88.

ჩვენი საკონტაქტო ტელეფონებია: 23-21-26, 61-53-10, 95-17-88.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგაიაშვილი.
ინდექსი 66434